ვერსია
№38 (1728) 13 — 19 ნოემბერი ოთხშაბათი 2024 წელი
1 ლარი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.versia.ge

1 039 რეგისტრირებული აზარტული ბიზნესი საქართველოში?!

საგანგაშო სტატისტიკის დეტალები

ტრამპის მეორედ მოსვლა

როგორ გამდიდრდა, დაასრულებს თუ არა უკრაინაში ომს და რაზე აქვს უთანხმოება ცოლთან – დონალდის ნაცნობი და უცნობი დოსიე

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რატომ შემცირდა სავალუტო რეზერვები წინასაარჩევნოდ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვების სტატისტიკა გამოაქვეყნა

ვინ არის, რატომ ჩამოვიდა საქართველოში და აქვს თუ არა გრეტა თუნბერგზე გავლენა რუსულ სპეცსამსახურებს

ყველაფერი 21 წლის შვედ აქტივისტზე, რომელსაც მსოფლიო იცნობს

სასაზღვრო პოლიციის ახლადშექმნილი სასწავლო ცენტრის პირველი სასწავლო პროგრამა დასრულდა

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ახლადშექმნილ სასწავლო ცენტრში, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი პირველი სასწავლო პროგრამა დასრულდა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი, ნიკოლოზ შარაძე კურსდამთავრებულებს შეხვდა, სწავლების წარმატებით დასრულება მიულოცა და შესაბამისი სერტიფიკატები პირადად გადასცა.

ხუთკვირიანი სასწავლო პროგრამა განკუთვნილი იყო სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის იმ მოსამსახურეებისთვის, რომლებიც მორიგეობის დროს სასაზღვრო სექტორებზე განწესების წარმმართველებად ინიშნებიან. კურსი მიმდინარეობდა, როგორც სასწავლო აუდიტორიაში, ასევე საველე პირობებში.

სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოქმედი თანამშრომლების სპეციალური პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. აღსანიშნავია, რომ სასწავლო ცენტრის წარმატებულ კურსდამთავრებულებს მომავალში კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ექნებათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ახალციხის ბაზას მოსწავლეები ესტუმრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ ჭაბაშვილმა, დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს ახალციხის განყოფილების ბაზაზე, ახალციხის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

ზურაბ ჭაბაშვილმა და დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსწავლეებს დეპარტამენტის საქმიანობის

შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და ბაზის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს.

სტუმრებისთვის მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი და ტექნიკა, მათ შორის, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა.

პროკურატურა როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე ინფორმაციას ავრცელებს

პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, როინ შავაძის განზრახ უკანონო დაკავებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის ჯგუფური მკვლელობის ფაქტზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი და ორი სპეცრაზმელი დამნაშავედ სცნო.

„საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 16 აგვისტოს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ამავე სამმართველოს უფროსისა და მისი მოადგილის ხელმძღვანელობით, თითქოსდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდებით, ქალაქ ბათუმში, კაფეში მყოფ როინ შავაძეს თავს დაესხნენ და ავტომატის კონდახების გამოყენებით სასტიკად გაუსწორდნენ.

როინ შავაძემ ძალადობის შედეგად სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო. სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა თავდასხმის შედეგად გონებადაკარგული როინ შავაძე ავტომობილით შემთხვევის ადგილიდან წაიყვანეს და აჭარა-გურიის საზღვართან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან მრავალჯერადი გასროლებით მოკლეს.

როინ შავაძის უკანონო დაკავებისა და მკვლელობის ფაქტის შესანიღბად, საგამოძიებო განყოფილების უფროსის დახმარებითა და ხელშეწყობით, შედგა ყალბი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, სადაც მიეთითა, რომ თითქოსდა როინ შავაძეს დაკავებისას აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სპეცრაზმელებს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 12-12 წლით, ხოლო საგამოძიებო განყოფილების უფროსს – 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა ჯამში 13 პირის მიმართ დაიწყო. ყველა მათგანის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის და ერთი სპეცრაზმელის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა და ორივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვინ არის, რატომ ჩამოვიდა საქართველოში და აქვს თუ არა გრეტა თუნბერგზე გავლენა რუსულ სპეცსამსახურებს

ნინო დოლიძე

ყველაფერი 21 წლის შვედ აქტივისტზე, რომელსაც მსოფლიო იცნობს

ბოლო დღეებია, სოციალურ ქსელში აქტიურად საუბრობენ გრეტა თუნბერგზე. გრეტა, რომელიც შვედი აქტივისტია, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს რუსულ პროექტად მიაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ის ადამიანები, რომლებიც გაზაფხულიდან მოყოლებული, ყველა აქციაში მონაწილეობენ და ყველა კრემლისტურ ნაბიჯს ხმამაღლა აპროტესტებენ, თვლიან, რომ გრეტა საქართველოში „ვიღაცამ“ მიზანმიმართულად ჩამოიყვანა. ვინ არის ეს „ვიღაც“? სამოქალაქო აქტივისტთა ნაწილი პირად საუბარში დაუფარავად ამბობს, რომ შვედი გოგონა რუსულმა სპეცსამსახურებმა „დაითრიეს“ და თავიდან ბოლომდე მათი გავლენის ქვეშაა. ამის დამადასტურებელი ფაქტები, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა, რატომ ჩამოვიდა გრეტა საქართველოში ახლა და, მით უმეტეს, რატომ გამართა 11 ნოემბერს აქცია თბილისის ცენტრში? ვიდრე ამ „საიდუმლოს“ ამოვხსნით, მოდით, ჯერ ის გავარკვიოთ, ვინ არის გრეტა.

ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, გრეტა თუნბერგი 2003 წლის 3 იანვარს დაიბადა და მსოფლიოში ცნობილია, როგორც შვედი გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების მოწინააღმდეგე აქტივისტი. თავის დროზე, მან წამოიწყო „სასკოლო გაფიცვები“, რასაც საერთაშორისო აღიარება მოჰყვა. სხვათა შორის, გრეტა ცნობილია პირდაპირი და ხისტი საუბრით.

2018 წელს, როცა 15 წლის იყო, ყოველ პარასკევს, გრეტა შვედეთის პარლამენტის წინ მიდიოდა და მოითხოვდა, რომ შვედეთის მთავრობა აქტიურად ჩართულიყო კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ კამპანიაში. მალე გრეტას სხვა ახალგაზრდებიც შეუერთდნენ.

2019 წელს, ჟურნალმა Time, გრეტა წლის ადამიანად დაასახელა. 2019 და 2020 წლებში, გრეტა, ასევე, ნომინირებული იყო ნობელის პრემიაზე.

ცხოვრების ადრეული წლები

გრეტა თუნბერგი, როგორც აღვნიშნეთ, 2003 წლის 3 იანვარს, შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, საოპერო მომღერლის მალენა ერნმანისა და მსახიობის სვანტე თუნბერგის ოჯახში დაიბადა. პაპამისი მსახიობი და რეჟისორი ოლოფ თუნბერგია.

თუნბერგმა პირველად კლიმატის ცვლილების შესახებ 2011 წელს შეიტყო, როდესაც ის რვა წლის იყო და დაინტერესდა, თუ რატომ კეთდებოდა მცირე რამ კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ. ამის გაგების შემდეგ, გრეტა დეპრესიაში ჩავარდა, შეწყვიტა ლაპარაკი და ჭამა, ორ თვეში დაკარგა ათი კილოგრამი. საბოლოოდ, მას დაუდგინეს ასპერგერის სინდრომი, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა და შერჩევითი მუმიზმი.

ერთ-ერთ პირველ გამოსვლაში, თუნბერგმა თავის დაავადებაზე ისაუბრა და თქვა, რომ „მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში საუბრობს“.

გრეტა სამი-ოთხი წლის განმავლობაში ებრძოდა დეპრესიას, სანამ სკოლაში გაფიცვას დაიწყებდა. როდესაც პროტესტი პირველად დაიწყო, მშობლებმა მხარი არ დაუჭირეს. გრეტას მამამ ამბობდა, არ მომწონს, სკოლას რომ აცდენსო:

„ჩვენ პატივს ვცემთ მას, რომ მას სურს პროტესტი. მას შეუძლია სახლში იჯდეს და იყოს ნამდვილად უბედური, ან გააპროტესტებს და ბედნიერი იქნება“.

გრეტა თუნბერგს მიაჩნია, რომ გლობალური დათბობის გამო, კაცობრიობა ეგზისტენციალურ კრიზისს განიცდის და პასუხისმგებლობის გრძნობას უზრდის მოზრდილთა დღევანდელ თაობას.

თუნბერგი აღნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილებას არაპროპორციული გავლენა ექნება ახალგაზრდებზე, ის ამტკიცებს, რომ ახალ თაობას, შესაძლოა, მომავალი აღარ ჰქონდეს.

„ახლა აქ არ უნდა ვიდგე, სკოლაში უნდა ვიყო, ოკეანის გაღმა. როგორ ბედავთ? ჩემი ოცნებები და ჩემი ბავშვობა ცარიელი სიტყვებით მომპარეთ“, – თქვა გრეტამ 2019 წლის, გაეროს კლიმატის ცვლილებების სამიტზე.

* * *

რაც შეეხება შვედი აქტივისტის, გრეტა თუნბერგის საქართველოში ყოფნის მიზეზებს, გზას საქართველომდე და საქართველოდან, ამაზე აქტივისტი, პლატფორმა „მწვანეების“ თანადამფუძნებელი, გრეტა თუნბერგის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოში, თამარ ჯაყელი საუბრობს. ჯაყელის თქმით, შვედი აქტივისტი საქართველოში თავისი ინიციატივით, საქართველოსადმი და ზოგადად, რეგიონისადმი პირადი ინტერესის გამო იმყოფება.

„ვინ ჩამოიყვანა გრეტა?

არავინ. თავისით ჩამოვიდა, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად. ბოლოს თურქეთში იყო. ხმელეთით მოგზაურობს თვეზე მეტია, თავის თანატოლ, შოტლანდიელ კლიმატის აქტივისტთან ერთად. მოგზაურობს მოკრძალებულად, თავისი საძილე ტომრით. ხან მატარებელს იყენებს, ხან – ავტობუსს, ხან – სხვა საჯარო ტრანსპორტს. ქვეყანაში ჩასვლამდე, რამდენიმე დღით ადრე ეკონტაქტება ადგილობრივ აქტივისტებს და რჩება მათთან. რომ არა თურქული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც გრეტას მარიამ კვარაცხელიას ნომერი მისცა, ვერც გავიცნობდით. ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ ნამდვილი გრეტა ჩამოდიოდა, სანამ არ ვნახეთ ჩვენი თვალით.

ამიტომ, როცა ვინმე წერს, რომ „პრაიდმა“ ჩამოიყვანა, ან „მწვანეებმა“ ჩამოიყვანეს, ან „გლობალური ომის პარტიამ“, ან „ჰამასმა“, ან მასონებმა, ან უცხოპლანეტელებმა, არ დაუჯეროთ. ჩამოვიდა თავისით. ადგილობრივი აქტივისტები უბრალოდ ვმასპინძლობთ, საუკეთესო ქართულ სტილში.

რა მიზანი აქვს გრეტას ვიზიტს?

დასასრული მე-15 გვერდზე

ტრამპის მეორედ მოსვლა

ნინო დოლიძე

როგორ გამდიდრდა, დაასრულებს თუ არა უკრაინაში ომს და რაზე აქვს უთანხმოება ცოლთან – დონალდის ნაცნობი და უცნობი დოსიე

აი, ასე: დონალდ ტრამპი აშშ-ის 47-ე პრეზიდენტია, თან უკვე მეორედ. ისე, ბევრს ეგონა, რომ ტრამპი თეთრ სახლში ვეღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ პოლიტიკურმა ღმერთებმა თუ დემონებმა სხვაგვარად ინებეს და... კამალა ჰარისს ზურგი აქციეს. ტრამპის პერსონისა და საარჩევნო დაპირებების ექსტრავაგანტურობიდან გამომდინარე, ახლა მთელი მსოფლიო იმის პროგნოზირებას ცდილობს, როგორი იქნება ხელმეორედ გაპრეზიდენტებული ტრამპის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა. ზოგს ჰგონია, რომ დონალდი რუსეთ-უკრაინის ომში კრემლის პოზიციას დაიჭერს და „ჩრდილოეთელი დათვი“ ოფიციალურ კიევს საბოლოოდ გააცამტვერებს. ასე, უმეტესად, კრემლისტები ფიქრობენ, თუმცა ისინი, რომლებიც პოლიტიკაში ღრმად არიან ჩახედულნი, ასეთ პროგნოზს არ აკეთებენ და ამბობენ, რომ ტრამპი იმაზე ანტირუსია, ვიდრე ვიღაცებს წარმოუდგენიათ. ერთი სიტყვით, როგორი იქნება ტრამპის საგარეო პოლიტიკა, ამას დრო აჩვენებს, მანამდე კი აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის ბიოგრაფია, ონლაინ-მედიაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით გავიხსენოთ. აქვე, შეგახსენებთ: ტრამპი პირველი ვადით პრეზიდენტი 2016 წელს გახდა. მას პრეზიდენტობა 2020-შიც სურდა, თუმცა ჯო ბაიდენთან დამარცხდა. წლევანდელი 5 ნოემბრის ისტორიული გამარჯვებით, ტრამპი, გროვერ კლივლენდის შემდეგ, აშშ-ის ისტორიაში მეორე პრეზიდენტია, რომელიც არჩევნების დამარცხების შემდეგ, კვლავ გახდა პრეზიდენტი.

ვინ არის ტრამპი

დონალდ ტრამპი 1946 წლის 14 ივნისს, ნიუ იორკში, ფრედ ტრამპისა და მერი მაკლაუდის ოჯახში დაიბადა. ის ოჯახში ნაბოლა ანუ მეოთხე შვილი იყო.

აშშ-ის მომავლმა პრეზიდენტმა განათლება 1968 წელს, პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის სკოლაში მიიღო და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხიც მოიპოვა.

1971 წელს, მამამისგან, ფრედ ტრამპისგან მემკვიდრეობით უძრავი ქონება და სამშენებლო კომპანია ერგო, რომელსაც მოგვიანებით სახელი შეუცვალა და The Trump Organization დაარქვა. ბიზნესში მოღვაწეობისას, ტრამპს, მსოფლიოს მასშტაბით საოფისე კოშკები, სასტუმროები, სამორინეები, გოლფის მოედნები და ბრენდირებული სხვადასხვა ობიექტი აქვს აშენებული.

სამშენებლო ბიზნესის გარდა, 1996-2015 წლებში, დონალდი სილამაზის კონკურსს – Miss USA-საც ფლობდა. 2000 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა რეფორმების პარტიიდან სცადა, თუმცა ხმის მიცემის დაწყებამდე კანდიდატურა მოხსნა.

2004-2015 წლებში, ტელეარხ NBJ-zex ტრამპს რეალითი სატელევიზიო სერიალი The Apprentice მიჰყავდა.

2016 წელს, Forbes-ის მილიონერთა სიაში, ტრამპი მსოფლიო მასშტაბით, 324-ე ადგილს იკავებდა, აშშ-ში კი – 156-ე პოზიციას.

2015 წლის ივნისში, ტრამპმა საკუთარი თავი რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოაყენა და სწრაფად იქცა კანდიდატობისთვის მებრძოლ რეალურ კანდიდატად.

2016 წლის მაისში, ტრამპის რესპუბლიკელმა კონკურენტებმა თავიანთი კამპანია შეაჩერეს და ივლისში დონალდი პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დასახელდა. ტრამპის საარჩევნო კამპანიამ მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების უპრეცედენტო ყურადღება მიიპყრო.

სხვათა შორის, 2012 წელს, ტრამპი საქართველოს ესტუმრა და მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ საკაშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. ამავე ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ ბათუმში ე.წ. ტრამპ-თაუერი აშენდებოდა, თუმცა პროექტი არ განხორციელდა...

ტრამპს მეუღლე და სამი შვილი ჰყავს.

როგორ გამდიდრდა დონალდი

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ქონება Forbes' Real Time Billionare Rankings-ის მიხედვით, 3.1 მილიარდი დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სიმდიდრით, მსოფლიოში 771-ე ადგილზეა.

აქვე, ნიშანდობლივია, რომ ტრამპი აშშ-ის ისტორიაში, ყველაზე მდიდარი და ერთადერთი მილიარდერი პრეზიდენტია.

პირველ გაპრეზიდენტებამდე, ტარმპის ქონება 3-დან 4 მილიარდ დოლარს შორის მერყეობდა, რაც საკმოდ დიდი სიმდიდრეა, თუმცა ამის მიუხედავად, ამერიკის უმდიდრეს 20 ადამიანს შორისაც კი არასდროს ყოფილა.

პრეზიდენტობამდე ტრამპის პოპულარობის მთავარი მიზეზი მისი ხასიათი, საჯაროობა, ნიუ იორკში, მეხუთე ავენიუზე განთავსებული 202 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენი „ტრამპ თაუერი“ და ტელევიზია „ენბისი“-ს რეალითი შოუ – „შეგირდი“ იყო. ამ შოუთი, 2003-2015 წლებში, 214 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

სხვათა შორის, დონალდ ტრამპის სრული სახელი და გვარი დონალდ ჯონ ტრამპია. მამამისი ფრედერიკ ტრამპი უძრავი ქონების წარმატებული დეველოპერი იყო. ფრედერიკის მშობლები კი გერმანელი ემიგრანტები იყვნენ. ტრამპის დედა შოტლანდიაში დაბადებული მერი ენ მაკლაოდი იყო, რომელიც აშშ-ში, 17 წლის ასაკში ჩავიდა.

ტრამპმა, როგორც აღვნიშნეთ, კერძო სკოლა, ნიუ იორკის სამხედრო აკადემია დაამთავრა. 1964 წელს კი, ფორდამის უნივერსიტეტში ეკონომიკის სწავლა დაიწყო, საიდანაც ორ წელიწადში, პენსილვანიის უნივერსიტეტში გადავიდა. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ოჯახის ბიზნესის საქმეებით იყო დაკავებული.

დონალდ ტრამპმა სამჯერ იქორწინა. მისი მესამე და ამჟამინდელი ცოლი სლოვენიელი მოდელი მელანია ტრამპია. ტრამპს სამივე ცოლთან, ჯამში, 5 შვილი ჰყავს.

ტრამპების ოჯახი საკმაოდ მდიდარი იყო. როდესაც დონალდმა უნივერსიტეტი დაამთავრა, მას ოჯახური ბიზნესიდან ყოველწლიურად, დაახლოებით, მილიონი დოლარის შემოსავალი ჰქონდა. „ნიუ იორკ თაიმსის“ შეფასებით, დონალდ ტრამპმა მამის უძრავი ქონების იმპერიისგან, ჯამში, 413 მლნ დოლარის სიმდიდრე მიიღო, თუმცა თავად ტრამპი ამბობს, რომ მამისგან მხოლოდ მილიონი დოლარი მიიღო სესხად, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნა.

ფრედერიკ ტრამპის კომპანიას „ელიზაბეთ ტრამპ & სან“ ერქვა, რომლის მართვა დონალდმა 1971 წლიდან გადაიბარა და კომპანიას ახალი სახელი – „ტრამპ ორგანაიზეიშენ“ დაარქვა. კომპანია ძირითადად ნიუ იორკის ძვირადღირებულ უბნებში სახლების აშენებით, გაყიდვითა და გაქირავებით იყო დაკავებული. მამისგან განსხვავებით, ტრამპისთვის სამიზნე მანჰეტენის უძრავი ქონების ბაზარი იყო.

1982 წელს, დონალდ ტარმპი ამერიკული „ფორბსის“ რეიტინგებში, 200 მლნ დოლარის სიმდიდრით მოხვდა.

1979-1983 წლებში, მომავალმა პრეზიდენტმა „ტრამპ თაუერი“ ააშენა, რომელიც 300 მლნ დოლარი დაუჯდა და ტრამპის უძრავი ქონების იმპერიის სავიზიტო ბარათი გახდა.

1990-იანი წლების დასაწყისში, ტრამპი გაკოტრების პირას იყო და ქონების ნაწილის გაყიდვა მოუწია. კრიზისის დაძლევაში 1995 წელს, 1 მლნ დოლარად შეძენილი მანჰეტენის ბანკის ძველი შენობა დაეხმარა, რომლის რესტავრაციაზე 10 მლნ დოლარი დახარჯა. ამ შენობის გაქირავებიდან 160 მლნ დოლარი იშოვა, 2006 წელს კი „ფორბსმა“ ეს შენობა 260 მლნ დოლარად შეაფასა.

დასასრული მე-5 გვერდზე

ტრამპის მეორედ მოსვლა

მე-4 გვერდიდან

2000-იანი წლებიდან მოყოლოებული, უძრავი ქონების ბუმმა ტრამპის ქონება სწრაფად გაზარდა. ტრამპის 3.1 მილიარდი დოლარის ქონების დიდ ნაწილს დღესაც ნიუ იორკის უძრავი ქონება წარმოადგენს. აშშ-ის 47-ე პრეზიდეტი, ასევე, ფლობს გოლფის მოედნებს და ღვინის ქარხანას. პირველად რომ გაპრეზიდენტდა, ტრამპმა ბიზნესი სამართავად ორ უფროს შვილს – დონალდ ჯუნიორს და ერიკს გადააბარა. რას იზამს ახლა, ამ კუთხით, ჯერ უცნობია.

დონალდ ტრამპი პოლიტიკაში პასიურად 1987 წლიდან ჩაერთო, როცა რესპუბლიკური პარტიის წევრი გახდა. 1999 წელს, რეფორმის პარტიაში გადავიდა, 2001 წელს კი – დემოკრატიულ პარტიაში. 2009 წელს, ისევ რესპუბლიკურ პარტიაში დაბრუნდა. 2010 წლამდე, თანხას რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატებსაც სწირავდა და დემოკრატების კანდიდატებსაც. პრეზიდენტობა 2000 წელსაც უნდოდა, მაგრამ დაბალი რეიტინგის გამო, საბოლოო საპრეზიდენტო მარათონში არ ჩაერთო.

მელანია

მსოფლიო მედიას, ტრამპზე არანაკლებ, მისი მეუღლე, მელანია აინტერესებს, რომელიც ახალგაზრდობაში წარმატებული მოდელი იყო. მელანია 1970 წლის 26 აპრილს, დღევანდელ სლოვაკეთში ანუ ძველი იუგოსლავიის ქალაქ ნოვო მესტოში დაიბადა.

მელაინია სამანქანო ნაწილების გამყიდველის, ვიქტორ კნავსისა და სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლის, ამალია კნავსის უმცროსი ქალიშვილი იყო, რომელმაც სამოდელო კარიერა დაიწყო. 1990-იან წლებში, მელანია პარიზში, მილანსა და ნიუ იორკში მუშაობდა. სწორედ აქ გაიცნო მომავალი მეუღლე. წყვილმა 2005 წელს, პალმ ბიჩში იქორწინა. ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ, მელანია კნავსი მელანია ტრამპი გახდა. ერთი წლის შემდეგ, მან აშშ-ის მოქალაქეობაც მოიპოვა და იმავე წელს, დონალდ და მელანია ტრამპის პირველი ვაჟი დაიბადა, რომელსაც ბარონი დაარქვეს.

მელანია ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიებსა და „რესპუბლიკური პარტიის“ ყრილობებზე იშვიათად ჩნდება, თუმცა მეუღლის პოლიტიკური კარიერის დაწყების დღიდან, საერთაშორისო პრესისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

მელანია მხარში ედგა მეუღლეს მაშინ, როდესაც 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პორნოვარსკვლავი სტორმი დენიელსი ტრამპს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებდა და დონალდ ტრამპსა და მის მოკავშირეებს ბრალი დასდეს პორნოვარსკვლავის ადვოკატის მოსყიდვაში, კლიენტის გაჩუმების სანაცვლოდ.

ისე, არის საკითხები, რომლებზეც წყვილი ვერ თანხმდება. მაგალითად, პირველი პრეზიდენტობის დროს, დონალდ ტრამპმა აშშ-ში აბორტის საკონსტიტუციო უფლება გააუქმა. წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე კი, მელანია ტრამპმა გამოაქვეყნა მემუარები, სადაც ამ უფლების შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრობს.

„დიახ, მან გაცნობის პირველი დღიდანვე იცოდა ჩემი პოზიციის შესახებ. მჯერა ინდივიდუალური თავისუფლების. მინდა, თავად მივიღო გადაწყვეტილებები ჩემი სხეულის შესახებ. არ მინდა, ხელისუფლება ჩემს პირად საქმეში ერეოდეს. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა მელანია ტრამპმა Fox-თან საუბარში.

მელანია ტრამპი „მედისონ სქვეარ გარდენში“, „რესპუბლიკური პარტიის“ კამპანიის დასკვნით ყრილობას დაესწრო. მან ნიუ-იორკს მშობლიური და მსოფლიო ინდუსტრიის უდავო დედაქალაქი უწოდა. 2024 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში, ეს მელანია ტრამპის პირველი გამოსვლა იყო, სიტყვით.



რას უნდა ველოდეთ ტრამპისგან

ტრამპის მომხრეები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის დიდებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ფარგლებს გარეთაც დაუბრუნებს. მოწინააღმდეგეები კი თვლიან, რომ ტრამპი აშშ-ში დემოკრატიას ძირს გამოუთხრის.

„თქვენი მხარდაჭერით, ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენი ერის ძალას, დომინაციას, კეთილდღეობასა და სიამაყეს“, – თქვა ტრამპმა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე – **„ეს იქნება ამერიკის ახალი ოქროს ხანა“.**

სხვათა შორის, ტრამპს სჩვევია თავდასხმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე ანუ მათ „შიდა მტრებად“ მოიხსენიებს და ფიქრობს, რომ მათ „ძალიან იოლად გაუმკლავდებოდნენ“ სამხედროები, პოსტსაარჩევნო ქაოსის შემთხვევაში.

ამ კომენტარების პასუხად, ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა, რომელიც ამ არჩევნებში დამარცხდა, კენჭისყრის წინ თქვა, რომ ტრამპი „შეპყრობილი იყო შურისძიებით, მოცული იყო ბრაზით და უსაზღვრო ძალაუფლებისკენ ილტვოდა“.

* * *

აშშ-ში ელიან, რომ ტრამპი ეცდება, კონტროლი დაამყაროს სასამართლო სისტემაზე, უმეტესწილად, მის პირველ ვადასთან დაკავშირებული არაერთი სისხლის სამართლის საქმის გამო, მათ შორის, არჩევნებში სავარაუდო ჩარევისა და ძალაუფლების გადაცემის შეფერხების მცდელობის გამო, 2020 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ.

ტრამპმა, ასევე, განაცხადა, რომ ის შეიწყალებდა თავის მხარდამჭერებს, რომლებიც დააპატიმრეს 6 იანვარს, აშშ-ის კაპიტოლიუმზე თავდასხმის გამო, ჯო ბაიდენის გამარჯვების სერტიფიცირების ჩაშლის წარუმატებელი მცდელობისას.

ვარაუდობენ, რომ ტრამპი დაეყრდნობა „პროექტ 2025“-ის ინიციატივას, რომელიც მემარჯვენე ანალიტიკურმა ცენტრმა Heritage Foundation-მა მოამზადა ვაშინგტონში, „ღრმა სახელმწიფოს“ დასამხობად.

ტრამპმა თავისი კამპანიის დროს, დისტანცირება მოახდინა „პროექტ 2025“-ისგან და განაცხადა, რომ არც იცოდა, ვინ იდგა მის უკან, თუმცა გამოძიებებმა დაადგინა, რომ მის მომზადებაში ჩართული იყო, სულ მცირე 140 ადამიანი, ვისაც ტრამპის წინა ადმინისტრაციაში უმუშავია.

„ტრამპს უყვარს მკაცრი ლაპარაკი, მაგრამ იშვიათად ასრულებს ნათქვამს“, – თქვა კიტ ნოტონმა, აშშ-ში დაფუძნებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ფირმის Silent Majority Strategies-ის თანადამფუძნებელმა, **„ნებისმიერი ანგარიშსწორება იქნება შემთხვევითი და თანამშრომლების მხრიდან. ვფიქრობ, იუსტიციის დეპარტამენტში ბევრი ცვლილება იქნება“.**

ომი და მშვიდობა

ასევე, სავარაუდოდ, შეიცვლება ის, თუ როგორ ახორციელებს შეერთებული შტატები თავის გავლენას მთელ მსოფლიოში.

ტრამპმა განაცხადა, რომ მას შეუძლია დაასრულოს რუსეთის ომი უკრაინაში, „24 საათში“. ისრაელს, რომელიც შუა აღმოსავლეთში ორ ფრონტზე იბრძვის, ირანის მიერ მხარდაჭერილი შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ, ტრამპმა მოუწოდა „დაასრულოს სამუშაო“.

არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი შეეცდება ომის დასრულებას უკრაინაში. ანალიტიკოსების თქმითვე, განსხვავებული მხოლოდ ის იქნება, თუ როგორ შეეცდებიან ჰარისი და ტრამპი ამის გაკეთებას.

ბოსტონის კოლეჯის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის, პიტერ სკერის განცხადებით, ის მოელის, რომ ტრამპი შეეცდება, მიაღწიოს მოსკოვსა და კიევს შორის რამე სახის შეთანხმებას, რაც, მისი პროგნოზით, „უკრაინის მხრიდან დიდ დათმობებს ნიშნავს“.

გაცილებით ნაკლებადაა ცხადი, თუ რას გააკეთებს ტრამპი ისრაელთან მიმართებით, თქვა სკერიმ, თუმცა დასძინა, რომ „ის იქნება ისრაელის ცალსახა მხარდამჭერი“ და, ამავე დროს, შეეცდება აღადგინოს აბრაამის შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს ნორმალიზაციას არაბებსა და ისრაელს შორის.

ჩინეთი, რომელთანაც ტრამპმა სავაჭრო ომი წამოიწყო თავისი მმართველობის პირველი ვადის დროს, უცნობი ერთეულია. ტრამპმა პირობა დადო, რომ უფრო მკაცრ ტარიფებს შემოიღებს ჩინეთში წარმოებულ პროდუქტებზე, თუ პეკინი „ტაივანს შეუტევს“. მას ადრე უთქვამს, რომ არ გამოიყენებს აშშ-ის სამხედრო ძალას ჩინეთის მხრიდან ტაივანის შესაძლო ბლოკადის თავიდან ასაცილებლად, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინთან ურთიერთობის გამო.

გლობალური კვალი

პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში, ტრამპი უბიძგებდა ნატო-ს წევრებს, დაეკმაყოფილებინათ თავდაცვის ხარჯების საჭირო დონეები და ამ მიზნების უმეტესობა მიღწეულია.

ტრამპის პირველი პრეზიდენტობის დროს, აშშ გამოვიდა გაეროს კულტურული ორგანო UNESCO-დან, რუსეთთან საშუალო მოქმედების ბირთვული ძალების ხელშეკრულებიდან (INF), მსოფლიო ძალებთან ერთად შემუშავებული ირანის ბირთვული შეთანხმებიდან, პარიზის შეთანხმებიდან კლიმატის ცვლილების შედეგების შესამცირებლად და დაფინანსება შეუჩერა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, კორონავირუსის გავრცელებაზე რეაგირების პასუხად.

ისლამური რესპუბლიკის მხარდამჭერებმა დაწვეს აშშ-ის დროშა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილების მიმართ პროტესტის ნიშნად, დაეტოვებინა 2015 წლის ბირთვული შეთანხმება.

ბაიდენის ადმინისტრაციის დროს, აშშ-ის მონაწილეობა ამ შეთანხმებებსა და ინსტიტუტებში აღდგა, მაგრამ ახლა ბევრი ვარაუდობს, რომ ტრამპის დროს, ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვლება.

ნოტონმა თქვა, რომ ტრამპს მოუნდება ერთპირონული გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა აშშ-ის კონგრესი „მას სავარაუდოდ არ მიჰყვება“ და წინააღმდეგობას გაუწევს.

* * *

ერთი სიტყვით, პროგნოზი და ვერსია ბევრია იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს მეორე ბადით არჩეული ტრამპი, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც წარმოსახვაა. დონალდი აშშ-ის 47-ე პრეზიდენტობას მომავალი წლის იანვრის ბოლოდან შეუდგება და სწორედ იმ დროიდან გამოჩნდება, რა და როგორ იქნება...

1 039 რეგისტრირებული აზარტული ბიზნესი საქართველოში?!

საგანგაშო სტატისტიკის დეტალები

მაკა რუხაძე

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში 1 039 სათამაშო ბიზნესია რეგისტრირებული. მათგან 88% – ადგილობრივი კერძო საკუთრებაა. „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ რეალურად, საქართველო აზარტული თამაშების ერთგვარი ჰაბია. მიზეზი მარტივია – ქვეყანაში სათამაშო ბიზნესი მზარდია და სულ უფრო მატულობს სექტორში რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა, რომელთაგან მხოლოდ 12%-ია უცხოური კაპიტალით დაფუძნებული. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული რეგულაციები დაწესდა და გადასახადებმაც მოიმატა, სათამაშო ბიზნესის მიმართ ინტერესი მაინც არ ნელდება. ყველა იმ ქვეყნიდან, სადაც აზარტული ბიზნესი შეზღუდული ან აკრძალულია, მეწარმე სუბიექტები მუშაობას საქართველოში აგრძელებენ და სულ უფრო მეტად ითრევენ ახალგაზრდა თაობას, რომელიც აზარტულ ბიზნესშია დასაქმებული, ან უბრალოდ, ლუდომანია ანუ თამაშებზეა დამოკიდებული.

ფაქტია, რომ სათამაზო ბიზნესის მიმართ დაწესებულმა რეგულაციებმა დიდად ვერ ან არ გაამართლა. საქართველოში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება კი არ შემცირდა, უფრო მეტად გაიზარდა. პრობლემა ნამდვილად საშიში და მასშტაბურია, რადგან სათამაშო ბიზნესისკენ ჩვენი მოსახლეობის ჯიბიდან დიდძალი ფული მიიმართება, რაც სექტორის მოგებას ზრდის, ხოლო პარალელურად, სხვა დარგებს ანადგურებს. თამაშზე დამოკიდებულების გამო, ადამიანები მძიმე ყოფაში ვარდებიან, ქვეყანაში მარტო ფულის გამთეთრებელი ბიზნესი ვითარდება, რომლის ბრუნვა, რეგულაციების ფონზეც კი, უდიდეს მასშტაბს აღწევს.

მართალია, სოციალურად დაუცველ პირებს აზარტული თამაში აეკრძალათ, მაგრამ სპეციალისტების მოსაზრებით, მნიშვნელოვანი და აუცილებელია წაგების ზღვარის დაწესება. ეს ნიშნავს, რომ თუ პირი, რამდენიმე ხნის განმავლობაში, სისტემურად აგებს, ის ავტომატურად უნდა გამოეთიშოს თამაშის პროცესს. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა წაგების ზღვარის დაწესება საკანონმდებლო დონეზე, თუ ნამდვილად გვინდა იმ ადამიანების გადარჩენა, რომლებიც ჩართულნი არიან აზარტულ თამაშებში.

* * *

სტატია „საქსტატის“ შემაშფოთებელი სტატისტიკით დავიწყეთ. თუმცა, უფრო კონკრეტულად, სტატისტიკის მიხედვით, 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში რეგისტრირებული 1 039 სათამაშო ბიზნესიდან, 916 – ადგილობრივი საკუთრებაა, 92 – კერძო უცხოური საკუთრება, 1 – სახელმწიფოს საკუთრება, 1 – შერეული, სახელმწიფოს უპირატესობით, 13 – შერეული, ადგილობრივის უპირატესობით, 14 – შერეული უცხოეთის უპირატესობით.

რაც შეეხება ქვეყნების ხუთეულს, რომელთა წარმომადგენლებსაც საქართველოში ყველაზე მეტი აზარტული ბიზნესი აქვთ, „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთია:

თურქეთი – 26 ბიზნეს-სუბიექტი;
რუსეთი – 23 ბიზნეს-სუბიექტი;
ისრაელი – 8 ბიზნეს-სუბიექტი;
კვიპროსი – 6 ბიზნეს-სუბიექტი;
სომხეთი – 6 ბიზნეს-სუბიექტი.

„საქსტატის“ მონაცემების დეტალური გაანალიზების მიხედვით, აზარტული საქმიანობით დაკავებული 100 ბიზნეს-სუბიექტის წარმომავლობა, საერთოდ უცნობია.

რაც შეეხება წინა წლების სტატისტიკას, 2023 წელს, საქართველოში 1 043 აზარტული ბიზნესი, ხოლო 2022 წელს – 1 037 იყო რეგისტრირებული.

რატომ შემცირდა სავალუტო რეზერვები წინასაარჩევნოდ

მაკა რუხაძე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვების სტატისტიკა გამოაქვეყნა

საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური ბატალიები ეკონომიკაზე უკვე აისახა. წინასაარჩევნო აჟიოტაჟის პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) დიდი ოდენობით სავალუტო რეზერვები გაყიდა. ქვეყნის მთავარი ბანკირის, ნათია თურნავას განმარტებით, ამას თავისი სერიოზული მიზეზი ჰქონდა – ცალკეული მსხვილი ტრანზაქციების მხრიდან ლარის კურსზე ზეწოლის გასანეიტრალებლად, სებ-მა, მის ხელთ არსებული ერთ-ერთი ინსტრუმენტი გამოიყენა და სავალუტო რეზერვები გაყიდა. ერთი შეხედვით, ამ წმინდა წყლის ეკონომიკურ მოვლენას პოლიტიკური დებატების გარეშე არ ჩაუვლია. ეკონომიკის ოპოზიციონერი ექსპერტები თვლიან, რომ სავალუტო რეზერვების გაყიდვით, მთავრობამ წინასაარჩევნოდ, ლარის კურსი ხელოვნურად შეინარჩუნა. უფრო მეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის მთავარმა ბანკმა სავალუტო რეზერვების სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა.

სავალუტო რეზერვების სტატისტიკა

საქართველოს სავალუტო რეზერვების სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სავალუტო რეზერვების მოცულობა 1 მილიარდი აშშ დოლარით ანუ 4.08 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. ამასთან, ოქტომბერში, საქართველოს სავალუტო რეზერვებმა 627 მილიონი აშშ დოლარის ვარდნა განიცადა, რაც ყველაზე მკვეთრი ერთთვიანი შემცირებაა. საქართველოს სავალუტო რეზერვების მოცულობა ოთხ მილიარდიან ნიშნულზე ბოლოს 2022 წლის ივლისში იყო.

ოქტომბერში, სავალუტო რეზერვების კლების მთავარი მიზეზი ეროვნული ბანკის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული ოთხი სავალუტო ინტერვენცია, 213 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვა და ამასთან, სავარაუდოდ, Bmatch-პლატფორმით დამატებითი ინტერვენციების განხორციელება იყო, თუმცა ამ გზით გაყიდული რეზერვების მოცულობის შესახებ სტატისტიკა მხოლოდ 25 ნოემბერს დაზუსტდება. იქამდე საჯაროა ინფორმაცია, რომ ოქტომბერში საქართველოს სავალუტო რეზერვები 627 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა.

2024 წლის 1 იანვარს, საქართველოს ოფიციალური სავალუტო რეზერვების მოცულობა 5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 31 ოქტომბერს, მისი მოცულობა 4.08 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რაც ათთვიან პერიოდში, რეზერვების 925-მილიონიანი შემცირებაა.

„წლის დასაწყისიდან, ჩვენი ჯამური ინტერვენციები, წმინდა გაყიდვები შეადგენს 540 მილიონ აშშ დოლარს, რაც მოაკლდა რეზერვებს. ეს არის ის თანხა, რაც რეზერვებს წმინდა ინტერვენციებით და Bmatch-ით განხორციელებული ინტერვენციებით მოაკლდა. აქვე შეგახსენებთ, რომ წინა წელს, ჩვენი წმინდა შესყიდვები 1.3 მილიარდი აშშ დოლარი იყო, დაახლოებით სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე წელს ჩვენ გავყიდეთ, საშუალება იყო ამისი და ამიტომ. შესაბამისად, იმის თქმა, რომ დიდი ზიანი მიადგა რეზერვებს, არის არასწორი“, – განაცხადა სებ-ის პრეზიდენტმა, ნათია თურნავამ.

ეროვნული ბანკის სტატისტიკის თანახმად, 2024 წლის ცხრა თვეში, სებ-მა ინტერვენციებით და Bmatch-პლატფორმით გაყიდა 326.3 მილიონი აშშ დოლარი და იყიდა 329.5 მილიონი აშშ დოლარი.

კითხვაზე, რა საჭიროა სავალუტო რეზერვები, პაუხი მარტივია – სავალუტო რეზერვებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი იყენებს ლარის კურსის რყევებისგან თავის ასარიდებლად – ვალუტის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, იყენებს საგარეო ვალების მომსახურებისათვისაც.

რაც მთავარია, სავალუტო რეზერვები აძლიერებს ქვეყნის ფინანსურ სანდოობას და ზრდის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას.

რეზერვების დონე და საინვესტიციო გარემო

სხვა ფაქტორებთან ერთად, Fitch-ის საინვესტიციო რეიტინგები, სწორედ ფინანსურ სანდოობას ზომავს და აჩვენებს, რამდენად სანდო, თუ სტაბილურია ქვეყნის საინვესტიციო გარემო.

რაც უფრო დაბალია ეს რეიტინგი, მით უფრო ნაკლებმიმზიდველია ინვესტორებისათვის, ამიტომ საინვესტიციო რეიტინგები ერთგვარ გზამკვლევსაც კი წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიების და პოტენციური ინვესტორებისათვის.

Fitch-ის ბოლო შეფასებით, საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB ნიშნულზეა. ეს ნიშნული „არასაინვესტიციოდ“ განისაზღვრება.

Fitch-ის შეფასებით, ქვეყანა **„უფრო მეტად ინარჩუნებს სიმყარეს ეკონომიკაში ცვლილებებთან მიმართებით“.**

ოქტომბერში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოთხჯერ გამართა სავალუტო აუქციონი – 8, 16, 23 და 25 ოქტომბერს, რომლის შედეგად, ჯამში, 213.4 აშშ მილიონი დოლარი გაყიდა.

„ეს გადაწყვეტილება განპირობებულია არაფუნდამენტური ფაქტორების ჭარბი გავლენისა და სავალუტო ბაზარზე წინასაარჩევნო პერიოდისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი აჟიოტაჟის პრევენციის მიზნით. ეს, თავის მხრივ, აგვარიდებს ფასებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე უარყოფით გავლენას და ხელს შეუწყობს სავალუტო ბაზრის სტაბილიზაციას“, – ნათქვამია სებ-ის განცხადებაში, ერთ-ერთი ბოლო აუქციონის შემდეგ.

რას ნიშნავს ცალკეული მსხვილი ტრანზაქციები, რაც ლარის კურსს აწვება, ან ბოლო პერიოდში, სავალუტო ბაზარზე არსებული „მოჭარბებული გაურკვევლობა“, რომელიც ამ ზეწოლას აძლიერებს:

„ასეთ შემთხვევებში, სებ-ი ხელმძღვანელობს საკუთარი მანდატით და მონეტარული ინსტრუმენტებით, რითაც ხელს უწყობს ბაზრის მოლოდინებისა და ბაზარზე ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას“, – განმარტავს სებ-ი.

რას ნიშნავს ლარის მცურავი გაცვლითი კურსი?

ამ რეჟიმის ქვეშ მოქმედი გაცვლითი კურსი მთლიანად განისაზღვრება სავალუტო ბაზრის მიერ, რომელიც შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რომელთა ინტერესში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის.

საქართველოს ეროვნული ბანკი არანაირ გავლენას არ ახდენს გაცვლითი კურსის განსაზღვრის პროცესზე. ცხადია, რომ მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში, გაცვლითი კურსი ხასიათდება საგრძნობი მერყეობით, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო, იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც.

როგორ დგინდება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი?

ბუღალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის, ხშირად გამოიყენება ლარის ოფიციალური კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით.

დასასრული მე-8 გვერდზე

რატომ შემცირდა სავალუტო რეზერვები წინასაარჩევნოდ

მე-7 გვერდიდან

ბანკთაშორის ბაზარზე ვაჭრობა მიმდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში – „ბლუმბერგი“. სწორედ ამ სისტემაში დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც ცხადდება ოფიციალურ გაცვლით კურსად, შემდგომი დღისთვის. სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე, ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე (დღის სამი საათისათვის) არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. გადაანგარიშებისთვის საჭირო გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს „როიტერისა“ და „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გავრცელება ამ სისტემებიდან ხდება ავტომატურ რეჟიმში.

ინფორმაცია ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, არა უგვიანეს გაანგარიშების დღის 17:00 საათისა.

რას ნიშნავს სებ-ის საერთაშორისო რეზერვები

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნქცია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვაა, რომელიც მისი ბალანსის ყველაზე მსხვილ აქტივს წარმოადგენს. საერთაშორისო სარეზერვო აქტივების დასაშვები შემადგენლობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

საერთაშორისო სარეზერვო აქტივების გაანგარიშდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით და ქვეყნდება თვის დამთავრებიდან მეშვიდე დღეს, ეროვნული ბანკის საიტზე.

საერთაშორისო რეზერვების მართვის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიებს ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. ძირითადი პრინციპებია, პირველ რიგში, უსაფრთხოება, შემდეგ ლიკვიდურობა და ბოლოს შემოსავლიანობა. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სახელმწიფო და მულტინაციონალურ ფასიან ქაღალდებსა და ბანკების დეპოზიტებზე.

რატომ არ ხარჯავს სებ-ი სავალუტო რეზერვებს კურსის ფიქსირებისთვის

საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად, ვიდრე ეს ფიქსირებული კურსის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის ფიქსაცია, შესაბამისად, არ ხდება ბანკის ჩარევა სავალუტო ბაზრის პროცესში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კურსის მკვეთრ ცვლილებას.

რას ნიშნავს ფიქსირებული კურსის რეჟიმი

საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი, რომელიც მიმოქცევაში 1995 წლიდან გავიდა, აშშ დოლარზე 1997 წლამდე იყო მიბმული – ამის მიზეზი გახლდათ ქვეყანაში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი. გაცვლითი კურსის მსგავსი პოლიტიკის პირობებში, ქვეყნის ვალუტა მიბმულია რომელიმე სხვა ქვეყნის ვალუტასთან, ან ვალუტების კალათასთან. იმ პერიოდისთვის, ფიქსირებული კურსის რეჟიმი სასურველ ალტერნატივას წარმოადგენდა, ვინაიდან ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, რაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით იყო გამოწვეული, ისედაც შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველჰყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას (აშშ დოლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად) და ნდობის აღდგენას.

1997 წლიდან, საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში, გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით, მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო, როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე, სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა რომ ჩვენი ქვეყნის მსგავსი წყობისთვის მცურავ გაცვლითი კურსის რეჟიმს უფრო მეტი უპირატესობები გააჩნია, ვიდრე ფიქსირებულ რეჟიმს.

ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი, ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისთვის, რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს-ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი, ეს წინაპირობები არ არის, შესაბამისად, არის საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმი გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზი.

აშშ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილ სავაჭრო პარტნიორია, თუმცა ჩვენი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობები ვრცელდება ბევრ სხვა ქვეყანაზე, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ვალუტები და გაცვლითი კურსის რეჟიმები. შესაბამისად, ლარის კურსის დოლარზე მიბმა გამოიწვევს მის ფიქსირებას ერთი ვალუტის მიმართ და დარჩება ცვალებადი სხვა ვალუტების მიმართ. აქედან გამომდინარე, ლარის კურსის დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

1990-იანი წლების ბოლოს, აზიის კრიზისმა აჩვენა, რომ დოლარის კურსის გამყარებამ გამოიწვია მასზე მიბმული ვალუტების გამყარებაც სხვა ვალუტების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ დამოკიდებულნი დოლარზე. წამყვანი ვალუტის გამყარების შედეგად შემცირდა მასზე მიბმული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და გამოიწვია ექსპორტის ვარდნა და იმპორტის მატება, რაც იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. მსგავსმა პრობლემამ იჩინა თავი, როგორც ბალტიისპირეთის, ასევე, ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებშიც. ფიქსირებული გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში, მსგავსი რისკის წინაშე დადგება საქართველოც, როცა რეალური გაცვლითი კურსის გამყარება არ იქნება მხარდაჭერილი ქვეყანაში მიმდინარე ფაქტორებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში, ფერხდება ეფექტური და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. მაგალითად, რეცესიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის წახალისება და ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2008-2009 წლებში, დოლარზე მიბმული კურსის არსებობა შეზღუდავდა ეროვნული ბანკისა თუ მთავრობის ღონისძიებების არეალს და შეამცირებდა მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორ აგრეგატზე – ფულის მიწოდებასა და გაცვლით კურსზე ზემოქმედება. გარდა ამისა, როცა საქართველო და აშშ იმყოფება ბიზნეს-ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მათი ეკონომიკებისთვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის მონეტარული პოლიტიკის გატარება. მაგალითად, თუ ამერიკაში არის რეცესია და ტარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, იგი ავნებს საქართველოს ეკონომიკას, როცა ის გაფართოების სტადიაზეა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე (ეგზოგენური) ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. მაგალითად, 2010 წელს დაფიქსირებული ფასების მატება, რაც ძირითადად გარე მიწოდების ფაქტორებით იყო გამოწვეული, კიდევ უფრო გამწვავდებოდა ფიქსირებული კურსის პირობებში. ეგზოგენური ფასების მატება იწვევს ქვეყნის იმპორტის შემცირებას, რაც ეროვნულ ვალუტას ამყარებს და ნაწილობრივ ანეიტრალებს იმპორტირებულ ინფლაციას.

ზემოთ განხილული ფაქტორებიდან გამომდინარე, ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი და, შესაბამისად, არასასურველია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

სსფ მისია საქართველოში

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობას გლობალური მონეტარული თანამშრომლობის, საერთაშორისო ვაჭრობის, მაღალი დასაქმებისა და სიღარიბის შემცირების გზებით. ამჟამად, საერთაშორისო სავალუტო ფონდში 187 ქვეყანაა გაწევრიანებული.

საქართველოში, სსფ-ის მისია 1992 წლის 5 მაისიდან მოქმედებს. დაარსებიდან 2011 წლის 30 ივნისამდე, სსფ-ს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი სესხების ჯამური ოდენობა შეადგენს 974 350 000 სდრ-ს, რომლის ამჟამინდელი ბალანსი შეადგენს 672 950 000 სდრ-ს.

რა არის სდრ? – სდრ წარმოადგენს საერთაშორისო სარეზერვო აქტივს, რომელიც შექმნილია სსფ-ს მიერ და გამოიყენება, როგორც საანგარიშო ერთეული (Unit of Account). სდრ-ს ღირებულება განისაზღვრება მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კალათის მიხედვით.

სამართალი

№38 13 ნოემბერი 2024 წ

როგორ დაგეგმა რძალმა მაზლის მკვლელობა

სისხლიანი ოჯახური დრამის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ძმები არასდროს იჩხუბებენ, თუ ცოლებმა არ აჩხუბესო, ასე ამბობენ და სიმართლის მარცვალიცაა ამ სიტყვებში. პრინციპში, ძმებს თუ ძმობა სურთ, ცოლები ვერაფერს მოახერხებენ, მაგრამ შინაგანად, ქვეცნობიერში, ყველა ქალი ადარებს თავის მეუღლეს მის ძმას, ფიქრობს, რომელი უფრო წარმატებულია, რომელი უფრო კარგი მეოჯახეა. გაგიკვირდებათ და, კაცების აბსოლუტურ ურავლესობას ეს პრობლემა არ უდგას, არ ფიქრობს, მისი ცოლის და უფრო კარგი მეოჯახეა თუ ცოლი, რადგან ასეთი ამბებით თავს არ იტვირთავს...

კერძო დეტექტივის სამსახურით ახლა არაერთი ადამიანი ინტერესდება, ადრე კი, ცნება კერძო დეტექტივი უბრალოდ არ არსებობდა. თუ ვინმეს რამე აინტერესებდა, შს სამინისტროს რომელიმე უწყებას აკითხავდა, მაგრამ იქ ვერ მიდიოდნენ, მაგალითად, ქალები, რომლებსაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ქმრები ღალატობდნენ და სურდათ, მათთვის ვინმე პროფესიონალს ეთვალთვალა. ვერ მიდიოდნენ კაცებიც, რომლებიც ასევე ეჭვობდნენ, რომ შესაძლოა, ცოლი ღალატობდათ. ახლა კი... ახლა, თუ ფული გაქვს, შეგიძლია, არა მარტო მეორე ნახევარს, არამედ, ვისაც გსურს, მას 24-საათიანი მეთვალყურე აუყვანო და მისი გადაადგილების შესახებ ყველაფერი იცოდე. ჰოდა, სწორედ ასეთი კერძო დეტექტივი დაიქირავა ახალგაზრდა ქალმა იმისთვის, რომ საქმროსთვის ეთვალთვალა. მას სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ მომავალ მეუღლეს საყვარელი ჰყავდა და იმის მიუხედავად, რომ ორ კვირაში ქორწილი უნდა გამართულიყო, მასთან დაშორებას არ აპირებდა. ერთ-ერთი მთავარი პირობა, რაც ქალს დეტექტივთან ჰქონდა, ის იყო, რომ თუ საქმრო ფაქტზე ჩავარდებოდა, შემკვეთი ადგილზე უნდა მისულიყო და საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თითქოს საქმრო წესიერი და პატიოსანი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ერთ დღეს, სამსახურიდან დროზე ადრე გამოვიდა და მანქანით ქალაქის გარეუბნისკენ დაიძრა. ერთ-ერთ კორპუსთან მივიდა, მანქანა გააჩერა და სადარბაზოში შევიდა. კერძო დეტექტივმა მის საცოლეს დაურეკა და ნახევარ საათში, ქალიც ადგილზე იყო. დეტექტივმა სადარბაზო კი იცოდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ სართულზე და რომელ ბინაში შევიდა მამაკაცი, საცოლე კი ლამის კიოდა, ყველა კარზე დავაკაკუნებო. დეტექტივმა ჭკუა იხმარა, ეზოში მოფუსფუსე ბებოს ავტომობილი დაანახა და უთხრა, ხომ არ იცი, ეს კაცი აქ ვისთან დადის ხოლმეო და იმანაც თავი დაუქნია, მეოთხე სართულზე, ერთოთახიანში დააკაკუნეთო. საცოლე და დეტექტივი ერთად ავიდნენ, თუმცა დაკაკუნება არ დასჭირვებიათ – კარი შეღებული იყო და ქალმა მაშინვე ხელი ჰკრა და შიგნით შევიდა. ოთახში არავინ იყო, ქალმა აბაზანის კარი გამოაღო და შეჰკივლა – მამაკაცი აბაზანაში ვენებგადახსნილი იწვა და სისხლისგან იცლებოდა.

დეტექტივი არ დაიბნა, ვენებზე მაისურის ნახევი შემოუჭირა, ქალს უყვირა, სასწრაფოში დარეკეო და ამ დროს, ბინაში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა ბავშვთან ერთად, აქ რა ხდებაო, იკითხა და როცა მამაკაცი დაინახა, შეჰკივლა და გული წაუვიდა. ბავშვი კი, რომელიც 4-5 წლის იქნებოდა, ბოლო ხმაზე ატირდა – „მამა, მამა“...

სასწრაფო დახმარების მანქანა და პოლიცია ერთად მოვიდა. სამართალდამცავებმა მთავარ მოწმეებს სთხოვეს, არსად წახვიდეთო და ექიმებს მობილიზაციისკენ მოუწოდეს, პულსი სუსტად, მაგრამ მაინც ესინჯება და ეგებ, გადავარჩინოთო. მედიცინის მუშაკები უთქმელადაც ცდილობდნენ და საავაადმყოფოში გააქანეს კიდეც დაზარალებული, იქიდან კი დარეკეს, მამაკაცი გადარჩება, მაგრამ აზრზე მხოლოდ ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მოვა, რადგან უამრავი სისხლი დაკარგა და მთელი სისხლით რომ შეივსოს, ამისთვის ხელოვნური კომა გვჭირდებაო. ამასთან, ვენები ლამის ბოლომდე იყო ჩაჭრილ-ჩაგლეჯილი და სისხლის გადასხმის პროცედურებს ესეც აფერხებდა.

კერძო დეტექტივი მშვიდად მოჰყვა, რაც მოხდა და გაოცებაც არ დაუმალავს იმის გამო, რაც იხილა. მისი თქმით, დაზარალებულს არაფერი ეტყობოდა, რომ სუიციდს აპირებდა და მოგვიანებით ექსპერტიზა იტყვის, რომ სამართებელი, რომლითაც დანაშაული მოხდა, სავარაუდოდ, დაზარალებულმა თავად მოიტანა და რაც მთავარია, მასზე მხოლოდ მისი თითის ანაბეჭდები იყო. რაც შეეხება სახლის მეპატრონეს...

„ჩვენ ლამის 8 წელია, ერთმანეთს ვხვდებით. ეს ჩვენი საერთო შვილია, ბიჭი და მის სანახავად ხშირად დადიოდა. დღესაც მოვიდა, მაგრამ ბავშვი ბაღში მყავდა, ვუთხარი, წავალ, მოვიყვან-მეთქი. წავედი და უკან რომ დავბრუნდი, ბინაში ეს ორი უცხო ადამიანი და ვენებგადაჭრილი ქმარი დამხვდა. ნუ, ჯერ ქმარი არ არის, მაგრამ მალე იქნება“, – ამბობდა სახლის მეპატრონე.

ყველანაირი ლოგიკით, ქალს კაცის მოკვლა არ აწყობდა, მით უმეტეს, ბავშვის მამა თუ იყო და თუ ეხმარებოდა, ნახულობდა, თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ ჯანმრთელი და საღ-სალამათი კაცი ბოლოს სწორედ მან ნახა. შესაბამისად, მთავარ ეჭვმიტანილად ის რჩებოდა და კიდევ იმედი, რომ მამაკაცი გადარჩებოდა და თუ მანამდე სამართალდამცავები ვერ ნახავდნენ დამნაშავეს (თუ ის არსებობდა), მაშინ თავად დაზარალებული იტყოდა, რა მოხდა სინამდვილეში. ყველაფერ ამაში ერთი ცუდი ის იყო, რომ საცოლე ბოლო ხმაზე კიოდა, გამორიცხულია, მაგას ცოლად გავყვე, საყვარელი კი არა, ბავშვიც ჰყოლია და მიმალავდაო. ყოველი შემთხვევისთვის, კერძო დეტექტივს საკუთარი საქმე დასრულებული ჰქონდა და ახლა ყველაფერი ძალოვნებზე იყო დამოკიდებული. მათ დეტექტივიც დაჰკითხეს, თუმცა მხრები აიჩეჩა, იმ სადარბაზოდან საეჭვო არავინ გამოსულა, მეტიც, მახსოვს, ერთი მოხუცი კაცი გამოვიდა და ოთხი ქალი ერთად, აბა, ოთხეული ამას არ იზამდა და ვერც ის კაცი მოერეოდა ამ ბიჭსო.

საავადმყოფოდან კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოვიდა – მამაკაცის ორგანიზმში ძლიერმოქმედი საძილე საშუალება იყო აღმოჩენილი და მან ის, სავარაუდოდ, ჩაისთან ერთად მიიღო. ჩაი ბავშვის დედას მოუმზადებია, მაგრამ იფიცებოდა, რა საძილე საშუალება, ბავშვის მამას რატომ მოვკლავდი, მით უმეტეს, წარმოდგენაც კი არ მქონდა, ცოლის მოყვანას თუ აპირებდა, ვილოცებ, რომ გადარჩეს და სიმართლე თქვასო. ეს მკვლელობის მცდელობა იყო და ამიტომ, სამართალდამცავებმა პალატასთან ორი ოპერმუშაკიც დააყენეს, თავის დაზღვევის მიზნით. დეტექტივის დახმარებით, გამომძიებელმა ის ქალებიც იპოვა, რომლებიც სადარბაზოდან გამოვიდნენ. უფრო სწორედ, ერთი ქალი, ორი – მისი დაქალი იყო, ყავა დალიეს, წაიჭორავეს და სასეირნოდ წავიდნენ. აი, მეოთხე ქალი მათთან არ იყო, კიბეზე დავეწიეთ, ალბათ, ერთადაც გამოვედით, ცოტა ხანს უკან მოგვყვებოდა კიდეც, მერე სად წავიდა, არ ვიცითო ანუ ის ქალი შეგნებულად შეერია სამეულს და ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ ყველაფერი სწორედ მას ჩაედინა.

საავადმყოფოდან ისევ დარეკეს, დაზარალებულის ძმა არის მოსული, რეანიმაციაში შეშვებას ითხოვსო, მაგრამ გამომძიებელმა ამის ნება არ მისცა, თუმცა ძმა დაკითხვაზე დაიბარა.

„წარმოდგენა არ მაქვს, ჰყავდა თუ არ ჩემს ძმას მტერი. მას საკუთარი საქმე აქვს, საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს, ორი ბინა აქვს, ერთი გაქირავებული, მაგრამ მის ბიზნესში არ მახედებს, ვერ ვერკვევი. მე ტრაქტორზე ვმუშაობ, მშენებლობაზე, ექსკავატორზე, სამი შვილი მყავს და სიმართლე გითხრა, ძმის მოსაკითხად იშვიათად ვიცლი“, – განაცხადა მან.

ყოველი შემთხვევისთვის, დაზარალებულის ბინა გაჩხრიკეს და მხოლოდ ერთი საინტერესო რამ ნახეს – ეს იყო დნმ-ის ანალიზი, რომელიც ამტკიცებდა, რომ... ის ბავშვი მისი შვილი არ იყო და ანალიზის პასუხი მომხდარიდან ერთი დღით ადრე იყო მიღებული. ბავშვის დედამ ამის შესახებ არაფერი იცოდა და როცა გაიგო, ისტერიკა დაემართა, გამორიცხულია, შვილი მისია, ანალიზი შეცდაო. მერე, გამომძიებელთან აღიარა, მასთან კი ვცხოვრობდი, მაგრამ სოფელში წავედი, ჩემების სანახავად, იქ თანაკლასელები დავთვერით და ერთ-ერთ კლასელს ბავშვობის ოცნება ავუხდინე, რა ვიცოდი, თუ დავორსულდებოდიო, თუმცა ეს არ იყო მიზეზი იმისა, რომ კაცი მოეკლა, რამე ხეირს მაინც ვერ მიიღებდა.

და ისევ საავადმყოფო – ოპერმუშაკებმა დარეკეს, მედდას ფორმაში ჩაცმული ქალი დავაკავეთ, რეანიმაციაში შეღწევას ცდილობდო. დაკავებული კი, დაზარალებულის ძმის ცოლი აღმოჩნდა.

„არაფრის დამალვას აღარ აქვს აზრი, ფაქტზე დამიჭირეთ. სამ შვილთან ერთად, ორ ოთახში ვცხოვრობ და ახლა კიდევ, ტყუპებს ველოდებით. ჩემს ქმარს მეტი არ შეუძლია, მაზლი კი არ გვეხმარებოდა. შემთხვევით დავინახე, ადრე აქ რომ მოვიდა, მერე მეზობლები გამოვკითხე და მუდმივად ვყარაულობდი, მინდოდა, მომენტი ჩამვარდნოდა და ახლა ჩამივარდა. მისი სიკვდილის შემთხვევაში, ბიზნესიც და ბინებიც ჩვენ დაგვრჩებოდა, ეს ბავშვი კიდევ... რად მინდოდა ანალიზი, ორივე ძმას, მამამთილს, ჩემს შვილებსაც, საგვარეული სიარულის მანერა აქვთ და დარწმუნებული ვიყავი, ეს ბავშვი მისი არ იყო. დავუკაკუნე, გამიღო, გაოცდა, მაგრამ შემიპატიჟა, ჩაის სვამდა, მეც მინდა-მეთქი და რომ მიტრიალდა, მაშინ ჩავუყარე ჭიქაში წამალი. ვნანობ? არა, არ ვნანობ, აღარ შემიძლია ასე ცხოვრება და ციხეში, ეგებ, დავისვენო“, – განაცხადა ქალმა, რომელსაც სასამართლომ 6 წლით „დასვენება“ გამოუწერა, მაგრამ... მაზლმა ყველაფერი გააკეთა, რომ ის ციხიდან ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინათ.

წარმატებულ არქიტექტორ ქალს პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებენ

რა გახდა დანაშაულის მოტივი და რა ჩვენება მისცა ბრალდებულმა სამართალდამცავებს

ბათო ჯაფარიძე

ერთი შეხედვით, მთელი ცხოვრება შეჯიბრია. ბაღში ეჯიბრები თანატოლებს, სკოლაში – თანაკლასელებს, უმაღლესში – თანაკურსელებს, სამსახურში – თანამშრომლებს. გსურს, საუკეთესო იყო, მაგრამ ყოველთვის ასე არ გამოდის და ვიღაც ნებდება, ვიღაც კი სიცოცხლის ბოლომდე იბრძვის. ბევრისთვის ყველაფერი ეს სახალისოა, ბევრისთვის პირიქით – დამღლელი და ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხიც კი.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ალბათ, არ მოხდებოდა მაშინ, როცა თანამედროვე ტექნოლოგიები არ არსებობდა. არა, ადრეც ხდებოდა მიახლოებით მსგავსი, მაგრამ მაშინ ყველაფერ ამას სერიოზული პროცესი სჭირდებოდა და პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, ძალოვნების ჩარევის გარეშე, ვინმეს გაეკეთებინა.

მოკლედ, პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და სანამ ისტორიის მოყოლას დაიწყებდა, გამომძიებელს პირობა ჩამოართვა, ამ ამბავმა ჩემი ქმრის ყურამდე არ უნდა მიაღწიოსო. გამომძიებელი ერთი პირობით დათანხმდა – თუ ქმარი რამე კრიმინალში გარეული არ იქნებოდა, ან საქმის გახსნისთვის მისი ჩართულობა არ გახდებოდა აუცილებელი, ის არაფერს გაამხელდა. თუმცა, როცა ამ პირობას აძლევდა, მაძებარს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ მისი დარღვევა, მისდაუნებურად, მოუწევდა.

„მე და ჩემს დას მამა ადრე დაგვეღუპა და მივხვდი, რომ ერთადერთი გამოსავალი ფეხზე მყარად დამდგარიყავი, სწავლა იყო. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, ოღონდ სკოლაშივე ყველამ იცოდა, რომ ეს არ იყო უბრალოდ ოქეოს მედალი, მე მართლა გამორჩეული მოსწავლე ვიყავი, სკოლის მასალის გარდა, უამრავ ლიტერატურას ვკითხულობდი. უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ირგვლივ სულ მშენებლობებია და ვიფიქრე, რომ ეს პროფესია პერსპექტიულია. რეალურად, ასეც არის, უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავხურე, მერე ორი წელი მაგისტრატურაში, ახლა ასპირანტურაში ვარ და პარალელურად, სამუშაოს ვერ ავუდივარ. მოკლედ რომ გითხრთ, ერთ-ერთი წარმატებული არქიტექტორი ვარ. უნივერსიტეტში გავიცანი ბიჭი, რომელზეც ყველა გოგო გიჟდებოდა და მეც გავგიჟდი. ერთმანეთს ვხვდებოდით, შემდეგ უფრო სერიოზული ურთიერთობა გვქონდა, დარწმუნებული ვიყავი, მასზე გავთხოვდებოდი. ამიტომ, როცა ერთ დღეს სექსი შემომთავაზა, ბევრი არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი. დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ, მივხვდი, რომ ორსულად ვიყავი და როგორც კი საყვარელ ადამიანს ეს ამბავი გავუმხილე, ფული მომაყარა, აბორტი გაიკეთე, ცოლის მოყვანას ჯერ არ ვაპირებ, მით უმეტეს, შენს მოყვანასო. ფული ავიღე, წავედი, აბორტი გავიკეთე და ის ბიჭი დავივიწყე. მერე გავთხოვდი, ჩემი ქმარი ბიზნესმენია, საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი. ახლა მივლინებაშია, საზღვარგარეთ იწყებს რაღაცას და იქაურ პატრნიორებს ხვდება. ერთი კვირა არ ჩამოვა. მისი წასვლიდან მეორე დღეს, ტელეფონზე დამირეკეს და მთხრეს, რომ თუ არ მსურდა, ქმარს ენახა ვიდეო, სადაც ყოფილ შეყვარებულთან სექსით ვარ დაკავებული, 30 ათასი დოლარი უნდა გადავიხადო. ვიცი, ვინც დარეკა, ის ყოფილი შეყვარებულია, სწორედ ის, ვისგანაც ბავშვს ველოდი და მერე აბორტი გავიკეთე. ხმაზეც ვიცანი და არც თავად დაუმალავს, ვინ იყო. ჩემი ქმარი ეჭვიანია, ძალიან ეჭვიანი, მაგრამ... მე მისთვის ეს ისტორია მოყოლილი მაქვს, არ მიყვარს ტყუილი ურთიერთობაში და ამიტომ, იმას მივახალე, გაუგზავნე, პრობლემა არ მაქვს-მეთქი. ცოტა ხანში გადმორეკა და მითხრა, კარგი, მაშინ შენს ქმარს კი არ გავუგზავნი, ინტერნეტში ავტვირთავო. ეს კი უდიდესი პრობლემაა, როგორც ჩემი, ისე ქმრის რეპუტაციისთვის. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ის კაცი მაპოვნინეთ, სახელი და გვარი ვიცი, ვიცი ბინა, სადაც ცხოვრობდა, თუმცა ის მისი მეგობრის იყო, ეგებ, მან იცოდეს, სად ვიპოვოთ და ყველაფერი ეს, ერთ კვირაში უნდა მოვასწროთ“, – განაცხადა ქალმა.

მისი მონაყოლი ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაული იყო და სამართალდამცავები მაშინვე საქმეს შეუდგნენ. სახელისა და გვარის მიხედვით, მამაკაცის პოვნა რთული არ უნდა ყოფილიყო. ყოველი შემთხვევისთვის, ტელეფონის ნომერიც გადაამოწმეს, რომლის ბარათი ვიღაც გარდაცვლილზე იყო გაფორმებული და ქსელშიც აღარ გახლდათ ჩართული. მითითებულ მისამართზე მისულ სამართალდამცავებს შინ ბინის პატრონი, ახალგაზრდა კაცი დახვდათ, რომელმაც ძლივს გაიხსენა ძველი მეგობარი, აქაოდა, ეს ბინა „ხატა“ იყო, მეგობრებს მუდმივად ამოჰყავდათ ქალები და ვინ რას იღებდა, აბა, საიდან უნდა ვიცოდეო. მან არც ის იცოდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი, რადგან რამდენიმე წელი იყო, არ ენახა.

ამასობაში, ქალმა გამომძიებელს ისევ დაურეკა და უთხრა, რომ მის ტელეფონზე ვიდეო გაგზავნეს, რომელზეც ის იყო აღბეჭდილი, სექსის დროს.

„ეს არ არის მონტაჟი, ეს მე ვარ, არ ვიცოდი, ის ავადმყოფი თუ ამ ყველაფერს იღებდა. ეს რომ სოციალურ ქსელში აიტვირთოს, ჩემი და ჩემი ქმრის კარიერა, შეგიძლიათ, დასრულებულად ჩათვალოთ. ან დედას რა ვუთხრა, ან ჩემი და როგორ გადაიტანს ამ ამბავს, რომელსაც შვილივით ვზრდი და ვცდილობ, რომ ისიც ძალიან წარმატებული იყოს“, – მოთქვამდა ქალი.

ძალოვნებმა ტემპს კი აუჩქარეს, მაგრამ ასე მარტივად, ერთ დღეში საქმის გახსნა მაინც რთული იყო. პარალელურად, IT-სპეციალისტები იმ მამაკაცის მონაცემებს სოციალურ ქსელსა და სახელმწიფო სერვისების საიტებზე ეძებდნენ და იპოვეს კიდეც – ორი წლის წინ, მას ცოლი მოუყვანია და ქორწინებაც იუსტიციის სახლში ოფიციალურად დაურეგისტრირებია. ახლა, ძალოვნებმა ზუსტად იცოდნენ, ვის ეძებდნენ და მითითებულ მისამართზე გავიდნენ. კარი ახალგაზრდა, შავებში ჩაცმულმა ქალმა გააღო და გამომძიებლებს ინტერესით დააკვირდა. როცა კაცი იკითხეს, ქალმა გაიღიმა, კიდევ რამე დააშავა იმ უბედურმა? კუკიის სასაფლაოზეა, სამი კვირაა, რაც ავარიაში დაიღუპაო...

„მანამდეც და მას შემდეგაც ბევრი მოდიოდა, ზოგს ატყუებდა, ზოგს აიმედებდა, ჩვეულებრივი თაღლითი ყოფილა. გვიან გავიგე, გაშორებასაც ვაპირებდი, მაგრამ არ დამცალდა, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა“, – თქვა ქალმა და გამომძიებლებისთვის ნათელი შეიქმნა, რომ ის ფულის გამოძალვას ვერ მოახერხებდა.

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ქალმა ძალოვნებს დაურეკა, ქმარი დაბრუნდა, ჩემმა დაქალმა დამირეკა, აეროპორტში უნახავს, ისეთი სახე ჰქონდა, ვერც კი მივეკარე და მიშველეთ, სავარაუდოდ, ვიდეო ჩაუგდესო. სამართალდამცავები მაშინვე ქალის სახლში წავიდნენ და ბინის კარს მაშინ მიადგნენ, როცა ის ქმარმა შეაღო, თუმცა მამაკაცი ვერავის ამჩნევდა, მხოლოდ ცოლს უყურებდა და მძიმედ ქშინავდა.

„მე დამირეკეს... მე მითხრეს, რომ მღალატობ, რომ ეგ ბავშვი, რომელსაც ელოდები, ჩემი არ არის. ახლა გზაში გადავამოწმე ჩვენი საერთო ანგარიში და 30 ათასი მოგიხსნია. რისთვის გინდა ამხელა თანხა, რისთვის? შენს საყვარელს უნდა მისცე? თუ ბინას ყიდულობ მისთვის“, – კაცი ვერ ჩერდებოდა და როგორც იქნა, გამომძიებლებმა დააშოშმინეს. ისინი შეეცადნენ, რაც შეიძლება, გასაგებად აეხსნათ, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ მას არაფრის გაგონება სურდა, ბოლო ხმაზე ყვიროდა, აქედან წავიდეს, მისი დანახვა აღარ მინდა და არც ბავშვს ვაღიარებ, სანამ დნმ-ის ანალიზს არ ჩავუტარებო. ჰო, სამართალდამცავებს ისიც აინტერესებდათ, რატომ მოხსნა ქალმა ანგარიშიდან 30 ათასი დოლარი მაშინ, როცა ჯერ არც ქმარს ელოდა და არც ძალოვნებთან იყო შეთანხმებული ფულის გადაცემაზე.

„ყოველგვარი იმედი დავკარგე. მეც გავიგე, რომ ის ბიჭი მკვდარია, მაგრამ გამოდის, ეს ვიდეო ვიღაცას აქვს და ის მაშანტაჟებს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა, მე ფულს გადავიხდი“, – ამბობდა ქალი. ვინაიდან, სხვა ხელმოსაჭიდი არც პოლიციას ჰქონდა რამე, გადაწყდა, ფულში მცირე ზომის ელექტროპლასტირი ჩაედოთ და თუ გამომძალველი გაქცევას მოასწრებდა, ამ პლასტირში ჩამონტაჟებული სიგნალის მეშვეობით იპოვიდნენ. ქალმა ფული წაიღო, მითითებულ ადგილას დადო და... სამართალდამცავები გაოცებულები უყურებდნენ, როგორ თავხედურად მივიდა ვიღაც გოგო მითითებულ ადგილზე, როგორ აიღო ფული, როგორ ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში და მშვიდად გააგრძელა გზა. რა თქმა უნდა, ის მაშინვე დააკავეს და იგი... დაზარალებულის უმცროსი და აღმოჩნდა.

„ჩემს დას ისე უყვარს საკუთარი თავი და კარიერა, დარწმუნებული ვიყავი, სამართალდამცავებს არ ეტყოდა ფულის გადაცემის დროს და ადგილს, მე ხომ დავემუქრე, რომ ასეთ შემთხვევაში, ვიდეო ინტერნეტში ავტომატურად აიტვირთებოდა... მთელი ცხოვრება მესმის, რომ ჩემს დაზე უკეეთესი უნდა ვიყო, რომ ის უნიჭიერესია, რომ ყველაფერს თავად მიაღწია, რომ უნდა დავუჯერო... ის ბიჭი შემთხვევით გავიცანი, გვარი რომ გაიგო, მკითხა იმის და ხომ არ ხარო და როცა ვუთხარი კი-მეთქი, ვიდეოს მოგცემ, ოღონდ ათას დოლარადო. საბოლოო ჯამში, 200 დოლარად მომცა, მისი ხმაც სპეციალურად ჩავიწერე, უკვე ვიცოდი, რისთვის გამოვიყენებდი ამ ფაილს. წარმოდგენა არ მაქვს, თუ მოკვდა, არც ის ვიცი, სხვა ვიდეოები თუ აქვს. ჩემს სიძესაც მე დავურეკე, მე მარტო ჩემი დის კარიერის კი არა, მისი ოჯახის დანგრევაც მინდოდა, მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა, მე რომ ვეტყოდი, არ ინერვიულო, მე მოგხედავ-თქო. არ გამოვიდა, არა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ბათო ჯაფარიძე

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ცნობილმა ტელეწამყვანმა თამუნა მუსერიძემ ბიოლოგიური მშობლები იპოვა. რეალურად, საქართველოში, ბევრი ადამიანი დღემდე ეძებს ბიოლოგიურ მშობელს, ბევრმა გაიგო, რომ თავის დროზე იშვილეს, მაგრამ ამის გამო ნერვები არ მოშლია, არც ბიოლოგიური მშობლები უძებნია, უბრალოდ, ისევ ისე გააგრძელა ცხოვრება გამზრდელ დედ-მამასთან და ისინი ზუსტად ისე უყვარს, როგორც ნამდვილი მშობლები.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ბავშვს მშობლების ნების გარეშე აშვილებენ. მეტიც, როცა მათ ატყუებენ, რომ თითქოს პატარა გარდაიცვალა, აჩვენებენ სხვა ჩვილს და იყო შემთხვევა, როცა ერთი გარდაცვლილი ჩვილი, ერთ ღამეში, სამ ოჯახს აჩვენეს და სამი ბავშვი მოიპარეს. მართალია, ეს საბჭოთა კავშირის დროს და ბელორუსში მოხდა, მაგრამ რეზონანსი მაინც უზარმაზარი იყო.

მიტოვებული ჩვილის თავგადასავალი

რატომ თქვა პედაგოგმა მამაკაცმა შვილზე უარი

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ საბჭოთა კავშირში მოხდა და მისი გმირი დღემდე ცოცხალია, დღემდე იმ პროფესიას მიჰყვება, რომელსაც ბედმა თუ უბედობამ დააკავშირა. მოკლედ, მილიციის განყოფილებაში 17 წლის ბიჭი მივიდა და ყველაზე გამოცდილ გამომძიებელთან შეხვედრა მორიდებით ითხოვა. ძალოვნები ბიჭის თხოვნას ღიმილით მოეკიდნენ და, რა თქმა უნდა, მოუსმინეს.

„მე უპატრონო ბავშვთა სახლიდან ვარ (მაშინ ასე ერქვა). გუშინ გავხდი სრულწლოვანი და ამიტომ მომცეს დამოუკიდებლად გადაადგილების უფლება. ამ დღეს, რამდენიმე წელია, ველოდები, უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც ჩემმა გამზრდელმა ძიძამ მიამბო, როგორ მიპოვეს. იმ ღამეს, ჩემს ძიძას შვილი ჰყავდა ავად, ამიტომ ბავშვთა სახლსა და თავის სახლს შორის გარბოდა და გამორბოდა. ჰოდა, შუაღამისას, როცა უკან ბრუნდებოდა, დაინახა, როგორ დადო ვიღაც კაცმა რაღაც შეფუთული ბავშვთა სახლის შესასვლელთან და როცა ძიძას მოჰკრა თვალი, ნაბიჯს აუჩქარა. ის ჯოხს ეყრდნობოდა და სწრაფად ვერ გარბოდა, წაიქცა კიდეც, როცა ძიძა თავზე წაადგა, მაგრამ კაცმა სახეზე ქუდი ჩამოიფხატა, წამოდგა და წავიდა. ფეხიდან პროთეზი მოძვრა, იღლიაში ამოიდო, ჯოხს დაეყრდნო და სიბნელეში გაუჩინარდა. ფუთაში გახვეული ბავშვი მე ვიყავი. ყველაფერი ეს ძიძა, რამდენიმე წლის წინ მომიყვა და მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. რამდენი ადამიანი იქნება, მარჯვენა ფეხი რომ არ ჰქონდეს და რაც მთავარია, პროთეზი ეკეთოს? ბავშვთა სახლში რაღაცებს გვაკეთებინებდნენ და ჰყიდდნენ, აღებულ ფულს კი, ბავშვებს გვირიცხავდნენ, სრულწლოვნები რომ გახდებით, დაგჭირდებათო. მეც მაქვს მოგროვილი 180 მანეთი და თუ ფულია იმისთვის საჭირო, რომ მამა, შემდეგ კი დედა ვიპოვო, მაქვს“, – გულუბრყვილოდ საუბრობდა ბიჭი.

რეალურად, მისი მოსაზრება სიმართლესთან ახლოს იყო. მარჯვენა ფეხი მართლა ცოტა ადამიანს ექნებოდა დაკარგული, თუმცა ვინ იტყოდა, ბავშვი მე მივატოვეო? ეს ხომ კანონით ისჯებოდა და ამიტომ, საჭირო იქნებოდა ანალიზი, რომელსაც შესაძლოა, ყველა არ დათანხმებულიყო და... იძულებას კანონი არ ითვალისწინებდა. ყოველ შემთხვევაში, ბავშვის მონათხრობმა ყველა შეძრა, ყველას შეეცოდა ახალგაზრდა, რომელსაც მამის ნახვა სურდა და... იმასაც ამბობდა, არაფერი მინდა მშობლებისგან, არ განვიკითხავ, უბრალოდ, მსურს ვნახო, როგორები არიან, ჰგვანან თუ არა იმ ქალს და კაცს, რომელთაც სიზმარში ვხედავ ხოლმეო. საქმე ერთ-ერთ გამომძიებელს დაეწერა, რომელმაც ბიჭი ერთი კვირის თავზე დაიბარა და თან პირობა მისცა, ერთი კვირის შემდეგ, რამე სიახლე აუცილებლად მექნება, შენ არ ინერვიულოო.

სამართალდამცავებმა ბიჭი შინ გაისტუმრეს, თავად კი ძებნა დაიწყეს. პირველ რიგში, არა მარტო იმ ქალაქის, არამედ, საქართველოს მასშტაბით მოიძიეს მამაკაცები, რომლებსაც მარჯვენა ფეხი არ ჰქონდათ. ასეთი სულ 11 მამაკაცი აღმოჩნდა და აქედან, ასაკით ბიჭის შესაძლო მამობას მხოლოდ 7 ერგებოდა. შვიდიდან სამი სწორედ იმ ქალაქში ცხოვრობდა და გამომძიებელმა გადაწყვიტა, ყველა მათგანი თავად ენახა. პირველი მამაკაცი შინ დახვდა, გამომძიებელი სახლში შეიპატიჟა და როცა მოისმინა, რისთვის იყო მისული, ჯერ გაეცინა, მერე ნერვიულად შეხედა და დაიწყო:

„კიდევ კარგი, ჩემი ცოლი არ დაგვხვდათ და ამას არ ისმენს. სწორედ გუშინ მომიწყო ეჭვიანობის სცენა, ფეხი არ გაქვს და მაინც სხვა ქალებისკენ გაგირბის თვალიო. არადა, რა სხვა ქალები, სახლი, სამსახური. ხარატი ვარ, უმაღლესი თანრიგის და ოცნებად მქონდა გადაქცეული, ბიჭი მყოლოდა, ჩემი ხელობა რომ ესწავლა. ახლა ყველას უზრუნველი ცხოვრება უნდა, კარგი ხარატი კი სანთლით საძებარია. სამი გოგონა მყავს და როგორ გგონიათ, ბიჭი რომ მყოლოდა, ბავშვთა სახლში ჩავაბარებდი? იქ არ ეძებთ ბატონებო და გული მწყდება, რომ ჩემი ბიჭი არ იქნება“, – განაცხადა პირველმა „ეჭვმიტანილმა“ და გამომძიებლების მოთხოვნის შესაბამისად, სისხლი მაინც ჩააბარა, ანალიზით უნდა გადავამოწმოთო.

მეორე „ეჭვმიტანილი“ ციხეში იჯდა და სამართალდამცავები იქ მიადგნენ, თუმცა გასაუბრებას აზრი არ ჰქონდა. იქვე გაარკვიეს, რომ იმ წელს, როცა ბავშვი უპატრონო სახლის წინ დააგდეს, ეს ცალფეხა კაცი სასჯელს იხდიდა ანუ მაშინაც ციხეში იყო და ბავშვს ვერ მიუგდებდა. აი, მესამე ეჭვმიტანილის ძებნა ცოტა გართულდა. ის აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა და მეზობლები ამბობდნენ, აქედან კარგა ხნის წინ გადავიდა, სად ცხოვრობს, არ ვიცით, მაგრამ ისე, განათლებული კაცი იყო, მასწავლებელი, ასეთ რამეს არ იზამდაო. მეზობლებმა ისიც თქვეს, პირველ მეუღლესთან დაშორებული იყო, მეორე ცოლი ჰყავდა, ძალიან სათნო და კეთილი ქალი, შვილები კი, პირველი მეუღლისგან ჰყავს – ორი გოგონა და ორივე აკითხავდა, მათზე მზე და მთვარე ამოსდიოდაო.

ამასობაში, იმ კაცის პასუხი მოვიდა, სამი გოგონას მამა რომ იყო და როგორ ვარაუდობდნენ, უარყოფითი. პასუხის გარდა, ის კაციც მივიდა განყოფილებაში და ძალიან უცნაური რამ თქვა.

„ჩემს ცოლს ყველაფერი მოვუყევი და მისმა რეაქციამ გამაოცა, დამაფიქრა. იქნება, არ უთხრათ ბიჭს, რომ მისი მამა არ ვარ და პირიქით, ვუთხრათ, რომ სწორედ მე ვარ მამამისი. რამე ისტორიას მოვიფიქრებ, რომ გვეგონა ავადმყოფი იყო, რომ შეგვეშინდა და ვიშვილებ, ოფიციალურად ვიშვილებ, სახლი ექნება, მშობლები, დები... ხელობასაც ვასწავლი, კაცად გავზრდი“, – თქვა მოსულმა.

ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს, გულები გაუთბათ, მაგრამ... ბიჭი ნამდვილ მამას ეძებდა და აუცილებლად უნდა ენახათ. ამიტომ, კაცს თავაზიანი უარი უთხრეს და ისევ ცალფეხა მამაკაცების ძებნა განაგრძეს. მალე იპოვეს მესამეც, რომელმაც ბინა გამოიცვალა და სამწუხაროდ, ის ორი კვირის გარდაცვლილი იყო. როცა ქვრივს სტუმრობის მიზეზი უთხრეს, მან ტირილი დაიწყო და როცა გული მოიოხა, მერე თქვა, დიახ, ეს გარდაცვლილია იმ ბავშვის მამაო.

„ბოლო დროს ძალიან სუსტად იყო. სიკვდილამდე ორი დღით ადრე, საწოლთან ჩამომსვა და მითხრა, ვიცი, ვერ გადავრჩები და არ მინდა, ეს საიდუმლო საფლავში წავიღოო. განაწილებით, რომელიღაც სოფელში მოხვდა მასწავლებლად და იქ გოგო შეუყვარდა. აბა, სკოლის მოსწავლეს ვინ მიათხოვებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთად იყვნენ და ის გოგო დაორსულდა. ამბავი რომ გასკდა, სკოლიდან გამოაგდეს და ქალაქში დაბრუნდა. მერე, როცა ბავშვი გაჩნდა, გოგოს მშობლებმა მოუყვანეს და ხელში მიაჩეჩეს. ამასაც არ სცოდნია, რა უნდა ექნა ახალშობილისთვის და უპატრონო ბავშვთა სახლთან დატოვა. იმასაც ჰყვებოდა, ვიღაცამ დამინახა, ძლივს გამოვასწარი, რომ მოვრბოდი, წავიქეცი კიდეცო. მერე ცოლი მოიყვანა, იქ შვილები შეეძინა და იმ ცოლს ვერ გაუბედა, ვერ უთხრა, რომ შვილი ჰყავდა. ახლა კი, სიკვდილის წინ მითხრა და თქვა კიდეც, რას არ მივცემდი, რომ ერთხელ მაინც მენახაო“, – დაასრულა ქალმა მოყოლა.

ბიჭმა მამის გადიდებულ სურათს დახედა, არაფერი უთქვამს, არც ატირებულა, იქიდან გამოსულმა კი, სამართალდამცავებს ნაღვლიანად გახედა და...

„ხომ შეეძლო, მოსულიყო, მოვეძებნე... არ ქნა, შეეშინდა... ვფიქრობ, არ უნდოდა, რადგან თუ პირველ ცოლს ვერ უმხელდა, მეორე მეუღლესთან ამდენი წელი იყო და მერე მოვეძებნე. მას უბრალოდ არ ვჭირდებოდი“...

შემდეგ კი... შემდეგ, გამომძიებელმა ბიჭს უთხრა, რომ მისი შვილად აყვანა იმ კაცს სურდა, რომელსაც სამი გოგო ჰყავდა, ისიც უთხრა, ხელობა უნდა შეგასწავლოსო და... ბიჭი დათანხმდა, ოჯახში თბილად მიიღეს, მამობილის გვარზეც გადავიდა და დღეს საქართველოში, ერთ-ერთი გამორჩეული ხარატია.

პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაუფლებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების ფაქტებზე შვიდ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოავლინა და დიდი ოდენობის, 780 ათასი ლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი მიწის დაუფლების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების ფაქტებზე შვიდ პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრები ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ 70 000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს თაღლითურად დაეუფლნენ და გაასხვისეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

„სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორი ოთხი პირი 6 ნოემბერს დააკავეს. სამ პირს ბრალდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის, ხოლო ერთ პირს სამსახურებრივი სიყალბესა და თაღლითობაში დახმარების ფაქტებზე წარედგინა.

ასევე, დანაშაულებრივი ჯგუფის სამ წევრს ბრალდება წარედგინა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობაში დახმარების და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების ფაქტებზე.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

გამოძიება გრძელდება ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან კავშირში მყოფი სხვა პირების გამოსავლენად“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საარჩევნო აპარატურის დაზიანების ფაქტზე, პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში მდებარე საარჩევნო უბანზე, საარჩევნო აპარატურის დაზიანების ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მიმდინარეობისას, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში მდებარე N23 საარჩევნო უბანზე, ბრალდებულმა განზრახ დააზიანა ცენტრალური საარჩევნო კომისიის კუთვნილი, 5 280 ლარად ღირებული, ორი ერთეული ამომრჩეველთა სავერიფიკაციო აპარატი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 7 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ თეთრიწყაროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არჩევნებზე ხმის ფარულობის დარღვევას გულისხმობდა, გააუქმა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ამომრჩევლის ხმის ფარულობა დარღვეული იყო.

კერძოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მესამე სექტორის სარჩელები, ხოლო თეთრიწყაროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საერთოდ გააუქმა, რომელიც ასევე ხმის ფარულობის დარღვევას გულისხმობდა.

სააპელაციო სასამართლომ ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და სადამკვირვებლო მისია „ჩემი ხმის“ სარჩელები.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და „ჩემი ხმის“ სარჩელებს თითქმის 24 საათი განიხილავდა.

სასამართლომ საია-ს 12 და კოალიცია „ჩემი ხმის“ 14 საქმე გააერთიანა.

ცნობისთვის, არჩევნებზე ამომრჩევლის ხმის ფარულობის დარღვევის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და შესაბამისად, ის უზენაეს სასამართლოში არ გასაჩივრდება.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ბრალდებულებს 17-17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ბრალდებულებს 17-17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ჯგუფურად ძალადობის და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა და ტარების ფაქტებზე ორი ბრალდებული დამნაშავედ სცნო და 17-17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2024 წლის 11 თებერვალს, თბილისში, ბრალდებულებმა წარსულში არსებული უთანხმოების გამო, ჯგუფურად, სხვადასხვა საგნების გამოყენებით სცემეს დაზარალებულს. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულებმა, რომლებიც ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ, დაზარალებული სომხეთის ქუჩაზე დაინახეს, რა დროსაც ერთ-ერთმა ავტომანქანის სიჩქარე შეამცირა, ხოლო მეორემ დაზარალებულს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

პროკურატურის ინფორმაციით, მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა ბრალდებულები იმავე დღეს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად) 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ცემა, ჩადენილი ჯგუფურად) და 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა, ტარება ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 17-17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დავითაშვილის აღიარება, ბუდუს გოლი და კვარაცხელიას 90 მილიონი

სანაკრებო მატჩებამდე, ქართველმა ლეგიონერებმა მორიგი შეხვედრები გამართეს და შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ გუნდში ურიგო განწყობაზე არ მოდიან. იმის მიუხედავად, რომ იტალიაში ტურის ცენტრალური მატჩი „ინტერსა“ და „ნაპოლის“ შორის შედგა, მაინც საფრანგეთით დავიწყოთ, სადაც ერთმანეთს ორი ქართული კლუბი – „ლიონი“ და „სენტ ეტიენი“ დაუპირისპირდნენ.

სამწუხაროდ, „ლიონის“ რიგებში მხოლოდ ბოლო ათი წუთი ითამაშა გიორგი მიქაუტაძემ, ზურიკო დავითაშვილი კი მოედანზე სრულად იყო. მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს, მაგრამ ეს დავითაშვილს განწყობას ნაკლებად გაუფუჭებდა. ზურიკოს გოლი გასული თვის საუკეთესოდ აღიარეს, თავად ფეხბურთელი თვის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და რაც მთავარია, ის საფრანგეთის ჩემპიონატში ოქტომბრის თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

მთელი იტალია მოუთმენლად ელოდა „ინტერისა“ და „ნაპოლის“ დაპირისპირებას. მასპინძელთა თავკაცის მთავარი თავსატეხი ხვიჩა კვარაცხელიას შეჩერება იყო და მას მუდმივად ორი ფეხბურთელი მეურვეობდა, თუმცა ნეაპოლელებმა გოლი სწორედ ქართველოს მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ გაიტანეს. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა და „ნაპოლიმ“ პირველი ადგილი შეინარჩუნა, თუმცა თუ პირველ ადგილზე მყოფ ნეაპოლელებს 26 ქულა აქვთ, 2-5 ადგილებზე მყოფ ყველა კლუბს 25 ქულა აქვს ანუ ფეხის ერთი დაცდენა ლიდერობის დაკარგვისთვის საკმარისია. ისიც ვთქვათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მომავალი სეზონიდან დიდი ფულის დახარჯვას და საფეხბურთო ელიტაში დაბრუნებას აპირებს. ჰოდა, მთავარი სამიზნე კვარაცხელიაა და როგორც ბრიტანული მედია წერს, ინგლისურმა გრანდმა იტალიელებს უკვე შესთავაზა 90 მილიონი ევრო, თუმცა ეჭვი გვაქვს, აურელიო დე ლაურენტისი ამ ფასს არ დათანხმდება და ქართველის გაყიდვას 120 მილიონად შეეცდება.

მიმდინარე სეზონში მერვე გოლი გაიტანა ბუდუ ზივზივაძემ, მაგრამ მისმა „კარლსრუემ“ მიუნსტერთან შეხვედრაში, გოლი ბოლო წუთზე გაუშვა და მხოლოდ ქულას დასჯერდა. არადა, მასპინძლებს რომ მოეგოთ, გათამაშების ცხრილს ჩაუდგებოდნენ სათავეში. ამის მიუხედავად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბუდუს გუნდი ბუნდესლიგის საგზურისთვის აუცილებლად იბრძოლებს.

ოთარ კიტეიშვილის კაპიტნობით, „ჰარტბერგს“ სტუმრად მოუგო „შტურმმა“ და გრაცელები ავსტრიის ჩემპიონატში კვლავ პირველ ადგილზე არიან. მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდმაც“. გიომ სრულად ითამაშა, მისი გუნდი კი, ამ გამარჯვებით მეექვსე ადგილამდე აღზევდა, რაც პრემიერ-ლიგის საპლეიოფო ზონაა და იმედია, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, „უოტფორდი“ სეზონს სწორედ ექვსეულში დაამთავრებს.

გიორგი წიტაიშვილის „გრანადამ“, მძიმე ბრძოლაში „ელდენსე“ დაამარცხა და სეგუნდა დივიზიონში მეხუთე ადგილზე იმყოფება. გიორგი ქოჩორაშვილის „ლევანტეს“ შეხვედრა კი, იმავე მიზეზით გადაიდო, რა მიზეზითაც გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“ ვერ ასპარეზობს. ვალენსიური კლუბები, სტიქიის გამო, ვერც ვარჯიშს ახერხებენ და ზოგადად, ამ ქალაქის მცხოვრებლებს ახლა ფეხბურთისთვის ნამდვილად არ ცხელათ.

საბერძნეთში, „ოფი“-„კალითეას“ შეხვედრაში, ლამაზი გოლი გაიტანა ლევან შენგელიამ. შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, ლევნმა 68-ე წუთამდე ითამაშა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულიყო.

სენსაცია ქართველების მონაწილეობით

ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით, ტოკიოში, გრან-პრის მორიგი ეტაპი გაიმართა. სპორტულ წყვილებში უპირობო ფავორიტად შარშანდელი მსოფლიოს ჩამპიონი წყვილი, მასპინძელთა წარმომადგენლები – რიკუ მიური და რიუჩი კიხარა ითვლებოდნენ. მათ მართლაც შეუდარებლად ისრიალეს და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ კონკურენციას ვერავინ გაუწევდა, ყინულზე ლუკა ბერულავას და ანასტასია მეტელკინას ქართული დუეტი გავიდა.

ქართველების გამოსვლა მეორე დღეს სენსაციად მონათლა არა მარტო იაპონურმა მედიამ. ფიგურული სრიალის ექსპერტები აღიარებდნენ, რომ ბერულავა-მეტელკინას წყვილისგან ამას არ ელოდნენ და მათ მიეერ უზადოდ შესრულებულმა ნომერმა, საერთო ჯაბში, 213.05 ქულა და ოქროს მედალი დაიმსახურა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უდიდესი შანსია, ქართულმა დუეტმა დეკემბრის დასაწყისში, საფრანგეთში გასამართი გრან-პრის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვოს.

სანიოლმა დასკვნითი მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ეროვნული ნაკრები, 16 და 19 ნოემბერს, ერთა ლიგაზე ორ შეხვედრას გამართავს. 16-ში, ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე, ჩვენი გუნდი უკრაინას უმასპინძლებს, სამი დღის შემდეგ კი, ქალაქ ოლომოუცში, ჩეხეთს ესტუმრება. დასკვნითი შეხვედრების წინ, საქართველოს ნაკრები ჯგუფში 6 ქულით მეორე ადგილზეა და თუ პირველ ადგილზე გასვლა და შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსის შენარჩუნება სურს, ორივე შეხვედრა უნდა მოიგოს.

ვილი სანიოლმა გადამწყვეტი მატჩებისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. განაცხადშია ლაშა დვალი, რომელიც დისკვლიფიკაციის გამო, უკრაინასთან არ გვეყოლება, თუმცა ჩეხეთთან თამაშს მოახერხებს. რაც შეეხება სრულ სიას, ის ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („ომონია“, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი („პანსერაიკოსი“, საბერძნეთი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), გიორგი გველესიანი („პერსეპოლისი“, ირანი), საბა კვირკველია („დინამო“, თბილისი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი („კოპენჰაგენი“, დანია), საბა გოგლიჩიძე („ემპოლი“, იტალია);

ნახევარმცველები: ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევნტე“, ესპანეთი), ნიკა კვეკვესკირი („ნირეჰაზა“, უნგრეთი), ანზორ მექვაბიშვილი („კრაიოვა“, რუმინეთი), ლევან შენგელია („ოფი“, საბერძნეთი), გიორგი წიტაიშვილი („გრანადა“, ესპანეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი („სენტ ეტიენი“, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: საბა ლობჟანიძე („ატლანტა“, აშშ), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), გიორგი მიქაუტაძე („ლიონი“, საფრანგეთი).

ფრანგები დეშამის მოხსნას ითხოვენ



საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს, ისრაელთან – საშინაო და იტალიასთან – გასვლითი მატჩები ელოდება. სამფეროვნები უკვე შეიკრიბნენ და მზადებაც დაიწყეს, მაგრამ გუნდთან ერთად არაა ნაკრების კაპიტანი, კილიან მბაპე. არყოფნის შესახებ, თავად ფეხბურთელს კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ ის თქვა, ჯანმრთელად ვარო, დეშამი კი, შეეცადა, ამ ეტაპზე საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელის არყოფნის მიზეზი აეხსნა.

„ყველამ ვიცით, რა შეუძლია მბაპეს და მგონია, რომ ამ ეტაპზე მისი გამოძახების საჭიროება არ დგას. სანაცვლოდ, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა ფეხბურთელებს ექნებათ, მათ, რომლებსაც სამომავლოდ განვიხილავთ“, – განაცხადა დეშამმა, თუმცა ფრანგული მედია წერს, რომ მწვრთნელი იტყუება და ცდილობს დამალოს ის, რაც ნაკრებში რეალურად ხდება.

„ნაკრების წევრების აბსოლუტურ უმრავლესობას და პირველ რიგში მბაპეს, დეშამის გაშვება სურს. ის სიტუაციას ვეღარ აკონტროლებს და ფეხბურთელთა ნაწილმა ფედერაციას უკვე მიმართა, რომ დიდიე მოხსნან და მის ნაცვლად, ზინედინ ზიდანი დანიშნონ. ზიზუ ახლა უმუშევარია და შესაძლოა, ნაკრებიდან წინადადებას ელოდება“, – წერს ფრანგული მედია.

ცნობისთვის, დეშამი საფრანგეთის ნაკრებს სათავეში 2012 წლიდან უდგას და მისი ხელმძღვანელობით, სამფეროვნებმა 2018 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს.

სკანდალი უკრაინაში – შევჩენკოს სიძე ქვეყნიდან გაიპარა

ლეგენდარული უკრაინელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ მომგები, ანდრეი შევჩენკო ახლა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია და რაღა თქმა უნდა, სამშობლოში იმყოფება. ჰოდა, რუსეთთან ბრძოლის პარალელურად, უკრაინის პროკურატურა დეზერტირების საქმეებსაც იძიებს ანუ მათ საქმეებს, რომლებიც ქვეყნიდან გაიქცნენ და ბრძოლას თავი აარიდეს. ჰოდა, როგორც ახლა გაირკვა, ერთ-ერთი პირი, რომელსაც მობილიზაცია შეეხო და ის ქვეყნიდან გაიპარა, შევჩენკოს დის ქმარი, ანდრეი ვასიურენკოა.

„ბერეგოვსკის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, იან მიკშა ეჭვმიტანილია საზღვარზე უკანონოდ ადამიანების გადაყვანაში. ის საზღვრის უკანონოდ დატოვების სანაცვლოდ, მოქალაქეებისგან 20 ათას დოლარს იღებდა და საერთო ჯამში, სლიდური თანხაც მოუგროვდა. ახლა ვარკვევთ, ვინ და როდის გაიყვანა მიკშამ ქვეყნიდან და რამდენიმეს ვინაობა უკვე დადგინდა. მათ შორის არიან ანდრეი შევჩენკოს და – ელენა შევჩენკო და მისი ქმარი – ანდრეი ვასიურენკო. კამერებზეც ჩანს, რომ მიკშამ მათ საბუთები არ შეუმოწმა, უბრალოდ ფული გამოართვა და უნგრეთში გაუშვა“, – წერია სამართალდამცავების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვინ არის, რატომ ჩამოვიდა საქართველოში და აქვს თუ არა გრეტა თუნბერგზე გავლენა რუსულ სპეცსამსახურებს

აინტერესებდა საქართველო და ჩვენი რეგიონი და ახლა, როცა ჩვენს მეზობლად, აზერბაიჯანი მასპინძლობს მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან კლიმატის კონფერენციას, გრეტამ გადაწყვიტა, გაერთიანდეს აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ აქტივისტებთან და მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს აზერბაიჯანში, COP29-ის ჩატარების პრობლემატურობას.

რატომ არის პრობლემატური აზერბაიჯანში მსოფლიოს მთავარი კლიმატის კონფერენციის ჩატარება?
1. აზერბაიჯანი არის პეტროსთეითი ანუ ნავთობსა და გაზზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა. ირონიული და ტრაგიკულია, რომ კლიმატის ბედი პეტროსთეითში წყდება, უკვე მესამედ (შარშან ემირატებში, ხოლო იმის წინ, ეგვიპტეში ჩატარდა COP).
2. აზერბაიჯანში, განსაკუთრებით COP-ის წინა თვეებში, ბევრად უფრო ინტენსიური გახდა რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მიმართ. ალიევის რეჟიმი დევნის ყველას, ვისაც კრიტიკული აზრი გააჩნია. ასობით აქტივისტია დაჭერილი და გრეტას მიზანია, ალიევმა ვერ აუხვიოს თვალი საერთაშორისო საზოგადოებას.

აზერბაიჯანში არ მიდის, ბოიკოტს უცხადებს გრეტა COP-ს, მაგრამ ჯერ დღეს თბილისში ეხმარება აზერბაიჯანელ აქტივისტებს მცირე საპროტესტო აქციის მოწყობაში და მერე უკვე სომხეთში მიდის, იქაურ აქტივისტებთან ერთად აქციების დასაგეგმად.

რატომ არ პოსტავს საქართველოზე?

დაპოსტავს. უნდოდა, რომ კარგად გასცნობოდა სიტუაციას, ამიტომ დადის ჩვენს აქციებზე. წინა ორშაბათს, აქციაზე უამრავ მედიას ჩაეწერა და ყველას უთხრა, რომ სოლიდარულია საქართველოს საზოგადოების, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძვის: „მინდა, ჩემი მხარდაჭერა გამოვხატო ადამიანების მიმართ, რომლებიც იბრძვიან იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი აწყდებიან მხოლოდ იმისთვის, რომ თავი დააღწიონ სივრცეს, რომელიც მათ ევროპულ მომავალს ზღუდავს“.

ზოგადად, ორი მიმართულებით არის სოციალურ ქსელში აქტიური: კლიმატის კრიზისი და პალესტინელების მიმართ ისრაელის მიერ მოწყობილი გენოციდისთვის ყურადღების მიპყრობა. გუშინ მითხრა ასეთი ფრაზა, რომ იმდენად ბევრი საქმე აქვს უკვე წლებია (თან გუნდიც არ ჰყავს, ძირითადად, მარტო აკეთებს ყველაფერს), რომ ყოველდღე, ყველაზე სასწრაფო საქმეებს აპრიორიტეტებს აქტივიზმის კუთხით.

დღეს რომ შევხვდები, ვეტყვი, რომ ვეღარ ვითმენთ ქართველები და მალე გვჭირდება მისი პოსტიც.

გრეტა თუნბერგი ეკოაქტივისტია შვედეთიდან. ის ახლა 21 წლისაა. გამოჩენის დღიდან, როცა ჯერ კიდევ 15 წლის მოზარდი იყო, სიძულვილის სამიზნე გახდა. იმდენად მასშტაბური იყო მის მიმართ ზიზღის შემცველი დისკუსიები, რომ ამ თემას ვრცელი სტატიები მიუძღვნეს გავლენიანმა გამოცემებმა, მათ შორის, BBC-მ.

გრეტა თუნბერგის საქართველოში ჩამოსვლასაც მოჰყვა სხვადასხვა სახის ვარაუდები მისი აქ ყოფნის მიზეზებთან დაკავშირებით. მათ შორის, პროტესტის მონაწილე ადამიანებში, ვის მხარდასაჭერად გრეტა თუნბერგი აქციებზე გავიდა.

ყველა, ვისაც არ ეზარება, გრეტას აშავებს. მარია ზახაროვა ამბობს, დასავლეთმა თავისი აგენტი გამოაგზავნაო. ვიღაც ლიბერტარიანელები პოსტავენ, „ეფესბე“-ს აგენტიაო. ბევრი „ჰამასის“ მხარდაჭერას აბრალებს, როცა ადამიანის მიზანი პალესტინელთა ენით აუწერელი ტანჯვისთვის ყურადღების მიპყრობაა. იგივე ადამიანები ანტისემიტიზმში სდებენ ბრალს, როცა ანტისიონიზმია გრეტას პოზიცია და ისრაელელების გარკვეული ნაწილიც იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, პალესტინის ტერიტორიების დეოკუპაცია უნდა მოხდეს და პალესტინელ ხალხს საშუალება უნდა მიეცეს, თავისით გადაწყვიტოს საკუთარი ბედი.

კი, კონტროვერსიული აქტივისტია გრეტა და ყველაფერში არც მე ვეთანხმები, მაგრამ უმეტესი ისტორიული ფიგურა, ვისაც თავის ცხოვრებაში მიუღწევია გარკვეული ცვლილებისთვის, ასევე კონტროვერსიული იყო. კონტროვერსიული იყო განდიც და მარტინ ლუთერ კინგიც“, – დაწერა სოცქსელში თამარ ჯაყელმა.

* * *

თუნბერგი ამბობდა, რომ ის და სხვა ეკოაქტივისტები, რომლებიც არანაკლები სიძულვილის სამიზნეები არიან, მათ შორის, პოლიტიკოსების მხრიდან, ლაპარაკობენ მხოლოდ იმას, რაზეც ათწლეულებია წერენ მეცნიერები.

ახალგაზრდა თუნბერგი პოზიციონირებს, როგორც აუტისტური სპექტრის მქონე, გარემოსთვის მებრძოლი ადამიანი და ის ამ მოძრაობის ლიდერად სახელდება მსოფლიოში.

„ფორბსის“ მიერ, დასახელებული იყო 100 ყველაზე ძლიერ ქალს შორის, 2019 წელს. ნომინირებული იყო ნობელის პრიზზე.

შავკანიანი კაცი თავს თეთრ ქალად თვლის

ბევრი ახალგაზრდა ქალის მსგავსად, დოქტორი რონი გლადენი იზრდებოდა სურვილით, ფიფქიას მსგავსი ყოფილიყო, ოცნებობდა „სიამაყე და ცრურწმენის“ გმირების ცხოვრების სტილი ჰქონოდა და ელ ფანინგის მოდისთვის მიებაძა. მზეზე რუჯის მიღება და ქერა თმაც სურდა, თუმცა ეს სურვილები არ იყო ჩვეულებრივი ამბიციები, რადგან რონი შავკანიანი ბიჭი იყო, რომელიც ცინცინატში გაიზარდა. რონი ახლა უკვე ზრდასრული მამაკაცია და ქალაქის სახელმწიფო კოლეჯში ინგლისური ენის პროფესორია, ასევე, ორატორი და მსახიობიც არის და ის ამ პლატფორმებს იყენებს იმისთვის, რომ „ტრანსგრასული“ იდენტობა გააპიაროს. მიუხედავად იმისა, რომ რონი შავკანიან მამაკაცად დაიბადა, გარეგნობის მიუხედავად, ის თავს წარადგენს თეთრ ქალად და ამტკიცებს, რომ შინაგანად ის „დათრგუნული თეთრი ქალია“, რომელსაც გარეთ გამოსვლა სურს. რონი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც „ტრანსგრასები“ არიან ანუ ერთდროულად – ტრანსგენდერებიც და ტრანსრასებიც.

ციხეში ცხოვრებას ითხოვს

42 წლის ტერი მიჩმა, რომელიც ფლორიდის შტატში, ბანკების მრავალრიცხოვანი ძარცვით არის ცნობილი, მოულოდნელი განცხადებით სასამართლო შოკში ჩააგდო. მისი საქმის მორიგი სასამართლო სხდომისას, მამაკაცმა მისთვის ყველაზე დიდი ხნით პატიმრობა მოითხოვა, რათა „ჩვეულ გარემოში ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს“. წელს, თებერვალში, ციხიდან გამოსვლიდან ზუსტად ორ კვირაში, კიდევ ერთი ბანკი გაძარცვა. „მომწონს ციხეში ცხოვრება“, – განაცხადა მიჩმა და აღნიშნა, რომ ხანგრძლივი სასჯელი დაიცავს მას თვითგანადგურებისგან და დაეხმარება საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებაში. როგორც ჩანს, სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის უჩვეულო თხოვნა და მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კომოს ტბის ჰაერს ყიდიან

იტალიაში, თუნუქის ქილებით, კომოს ტბის ჰაერის გაყიდვა დაიწყეს. მწარმოებლების თქმით, ტურისტებს შეუძლიათ, ამ სახით სახლში ცნობილი კურორტის მცირე ნაწილი წაიღონ. კომოს ტბა ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. ამის გამო, მარკეტოლოგებმა დაიწყეს გზების მოძიება, ამ საქმიდან უფრო მეტი სარგებლის მისაღებად და რამე „ორიგინალური, მხიარული და პროვოკაციული“ სუვენირის შესაქმნელად. ქილებით ჰაერის გაყიდვის იდეა სფეროს ერთ-ერთ ექსპერტს, დავიდე აბანეილის ეკუთვნის. Italy Comunica-ში, კომპანიაში, რომელიც ამ სუვენირს ამზადებს, აცხადებენ, რომ ყოველ ქილაში თვალწარმტაცი კომოს ტბის ჰაერის 400 მლ-ია. მისი შეძენა მსურველს 9.9 ევროდ შეუძლია, თუმცა იდეა ყველას არ მოეწონა. კომოს მერი ალესანდრო რაპინეზე აცხადებს, რომ უკეთესი იქნებოდა, ტურისტებს აბრეშუმის შარფები შეეძინათ, რომლითაც ცნობილია რეგიონი. ლომბარდიის ტურისტული ბიუროს მონაცემებით, მხოლოდ გასულ წელს, კომოს ტბა 5.6 მილიონმა ადამიანმა მოინახულა.

ლენინის ბოლო მუზეუმი დაიხურა

ფინეთის ქალაქ ტამპერეში, ევროპაში ერთადერთი, ლენინის მუზეუმი დაიხურა. მუზეუმი იმ შენობაში იყო მოწყობილი, სადაც 1905 წელს, სტალინისა და ლენინის პირველი შეხვედრა შედგა. მუზეუმი 1946 წელს გაიხსნა, რევოლუციის ბელადის გარდაცვალების 22-ე წლისთავზე. ახლა ამ დაწესებულების ადგილზე, ფინეთისა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მუზეუმს გახსნიან, მისი ექსპოზიციები ფინეთის დამოუკიდებლობიდან ნატო-ში გაწევრიანებამდე პერიოდს მიეძღვნება. ახალი მუზეუმი მომავალი წლის 15 თებერვალს გაიხსნება.

რიჩარდ გირი ამერიკას ტოვებს

პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი, რიჩარდ გირი და მისი მეუღლე, ალეხანდრა სილვა საცხოვრებლად ესპანეთში გადადიან. 75 წლის მსახიობმა და მისმა 41 წლის პუბლიცისტმა ცოლმა კონექტიკუტში მდებარე რანჩო 10.75 მილიონ დოლარად გაყიდეს. მამულის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი რეზიდენციაა – 1938 წელს აშენებული ძალიან ლამაზი სახლი, ხუთი საძინებლით და მეორე, სამსაძინებლიანი მყუდრო კოტეჯი, რომელიც საკმაოდ ცნობილი არქიტექტორის დაპროექტებულია. გაზაფხულზე გირმა განაცხადა, რომ ქორინების პირველი ექვსი წელი ამერიკაში გაატარეს და ახლა მზად არიან, ცხოვრების ახალი თავი გადაშალონ. ოჯახი ესპანეთში, ორ შვილთან ერთად გადადის. წყვილს ხუთი წლის ალექსანდრე და ოთხი წლის ჯეიმსი ჰყავს.

ახალგაზრდა პატარძლებს ფულს გადაუხდიან

ჩინეთში, ქალაქ ლუილიანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 1.5 ათას იუანს გადასცემს წყვილებს პირველი ქორწინებისთვის, თუკი პატარძალი 35 წელზე ზემოთ არ იქნება. სიახლე რეგიონში ქორწინებისა და შობადობის რიცხვის მკვეთრ კლებას უკავშირდება: 2005 წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე – 13.61 ახალშობილი მოდიოდა, 2023 წელს კი – სულ 6.6. ქალაქის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, რომ ასაკობრივი შეზღუდვა იმის გამო შემოიღეს, რომ წყვილებმა ბავშვის გაჩენა მოასწრონ. ამ შემთხვევაში, დამატებითი თანხებია გათვალისწინებული: 2 ათასი იუანი – პირველი შვილისთვის, 5 ათასი – მეორე, 8 ათასი – მესამე ბავშვისთვის. ცნობილია, რომ თანამედროვე ჩინეთში, სერიოზული დემოგრაფიული პრობლემებია, როგორიც არის გენდერული დისბალანსი და მოსახლეობის დაბერება.

მსოფლიოს ულამაზესი კატა გამოავლინეს

პოლონეთში მცხოვრები ფისო, სახელად ბაკარდი, მსოფლიოში ყველაზე ლამაზ კატად აღიარეს. ეს ტიტული მას ნორვეგიაში ჩატარებული კატების საერთაშორისო გამოფენის – FIFE World Show ჟიურიმ მიანიჭა. 26 მსაჯი 1500-ზე მეტი მონაწილის შეფერილობას, ბეწვს, აღნაგობასა და სახის ფორმას აფასებდა. ბაკარდიმ, რომელიც რუსული ცისფერი ჯიშის წარმომადგენელია, ფინალში სომალიური, აბისინური და ორიენტული ჯიშის კატებს აჯობა. „ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი კატა ყველაზე ლამაზი იყო, ახლა ამის წერილობითი დასტურიც მაქვს“, – ამბობს კატის ბედნიერი პატრონი, ჯოანა კოვალჩიკი.

უორჰოლის ნამუშევრები მოიპარეს

ნიდერლანდებში, ერთ-ერთ გალერეაში, მძარცველები გვიან ღამით შევიდნენ და ამერიკელი მხატვრის, ენდი უორჰოლის ორი ნამუშევარი მოიპარეს. შემთხვევა ჩრდილოეთ ბრაბანტის პროვინციის MPV-გალერეაში მოხდა. ქურდებმა ცნობილი მხატვრის ოთხი ნამუშევრის წაღება სცადეს, თუმცა საბოლოოდ, ორი გაიტანეს, ორი კი იქვე, გალერეასთან დატოვეს, რადგან მანქანაში ვერ მოათავსეს. მოპარული ნახატებიდან ერთ-ერთი დედოფალ ელიზაბეტ II-ის პორტრეტია, მეორე კი – დანიის დედოფლის, მარგარეტ II-ის. ადგილობრივი სამართალდამცავების თქმით, რომელთაც უკვე დაიწყეს საქმის გამოძიება, ძარცვისას, აფეთქებაც მომხდარა და გალერეა და მიმდებარე შენობები დაზიანებულა. ენდი უორჰოლი XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მხატვრად მიიჩნევა. ის 1987 წელს, 58 წლისა გარდაიცვალა.

კაკაო კიბოსგან დაგაზღვევთ

ეს გემრიელი სასმელი ლიდერია ანტიოქსიდანტების შემცველობით. კაკაო ადამიანს იცავს სიმსივნისა და ბევრი სხვა დაავადებისაგან, რომელიც საშიშია სიცოცხლისთვის. ის ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას. კაკაოში არსებული ანტიოქსიდანტების რაოდეობა თითქმის ორჯერ აღემატება წითელ ღვინოში არსებულს. მიუხედავად იმისა, რომ კაკაოს ბევრი პროდუქტი, მაგალითად, შოკოლადი შეიცავს, უმჯობესია, ამ ტკბილეულის ნაცვლად, ერთი ფინჯანი კაკაოს სასმელი მიირთვათ. თანაც, შოკოლადში დიდი რაოდენობით არის ნაჯერი ცხიმები, 40-გრამიან ფილაში – 8 გრამი, ერთ ფინჯან კაკაოში კი – მხოლოდ 0.3 გრამი. თუ კაკაოს ფხვნილისგან მომზადებულ გემრიელ სასმელს ყოველდღე მიირთმევთ, ამით მნიშვნელოვნად შეინარჩუნებთ ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს და სისხლში ანტიოქსიდანტების შემცველობაც მოიმატებს. ფაქტია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩაისა და ყავაზე ხშირად, კაკაოს მიირთმევენ, ნაკლებად ავადდებიან კიბოთი. ეს ბოლო კვლევების შედეგებმაც აჩვენა.

ბიჭების გვიან ალაპარაკებაში „დამნაშავე“ იპოვეს

ცნობილია, რომ ბიჭებში მეტყველების ფორმირება უფრო გვიან ხდება, ვიდრე მათ თანატოლ გოგონებში. მთლიანობაში, ფსიქიკის განვითარება ბიჭებში მცირე ჩამორჩენით მიმდინარეობს, რაც ნორმად ითვლება. ამ საკითხით დაინტერესდნენ ნორვეგიელი სწავლულები. ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, მათ დაასკვნეს, რომ ჰორმონი ტესტოსტერონი გავლენას ახდენს მეტყველების დაწყებაზე. კვლევებში ხუთ წლამდე ასაკის 10 ათასი ბავშვი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონის არსებობისას, ტვინის განვითარება ფერხდებოდა. გარდა ამისა, ამ ჰორმონის მომატებული დონე, შესაძლოა, აუტიზმის ერთ-ერთი მიზეზი გახდეს. პრობლემის აქტუალობა, კვლევის ავტორთა განცხადებით, საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში, ეს პათოლოგია საკმაოდ გახშირდა. კვლევებისას, ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ მეტყველების პრობლემების სიხშირე, 5 წლამდე ასაკის ბიჭებში ორჯერ მაღალია, ვიდრე მათივე თანატოლ გოგონებში.

შოპენის უცნობი ვალსი აღმოაჩინეს

ნიუ-იორკში, მორგანის ბიბლიოთეკისა და მუზეუმის კურატორმა, რობინსონ მაკკელანმა, მედისონ-ავენიუზე მდებარე ინსტიტუციის კოლექციაში, ფრედერიკ შოპენის აქამდე უცნობი ვალსი აღმოაჩინა. როგორც The New York Times-ი წერს, მამაკაცმა იპოვა დროისგან გაყვითლებული ნოტების ფურცელი მოკლე ნაწარმოებით, რომელიც 24 მუსიკალური ტაქტისგან შედგება. ფურცლის თავზე კი XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპოზიტორის ხელმოწერაა. რაკიღა შოპენის ხელწერა მეტად ნაცნობი იყო, მაკკელანმა არტეფაქტის ნამდვილობის შემოწმება გადაწყვიტა. ქაღალდისა და მელნის ანალიზმა, ასევე, ხელწერისა და მუსიკალური სტილის შესწავლამ დაადასტურა, რომ ნაპოვნი ნოტები ნამდვილად სახელგანთქმული პოლონელი მუსიკოსის დავიწყებული ვალსია. სპეციალისტების თქმით, ნაწარმოები შოპენმა 1830-სა და 1835 წლებს შორის დაწერა, როცა 20 ან ცოტა მეტი წლის იყო. მუსიკათმცოდნეების თქმით, ნაწარმოები დასრულებული სახისაა და მისი ხანგრძლივობა შედარებით ნაკლებია, ვიდრე შოპენის ადრეულ ასაკში დაწერილი სხვა ვალსებისა.

სწრაფი ბიოპრინტერი ნებისმიერი ორგანოსთვის



ავსტრალიელმა სწავლულებმა, მელბურნის უნივერსიტეტიდან, სამგანზომილებიანი პრინტერი შექმნეს, რომელსაც ადამიანის ქსოვილების ზუსტი მოდელების ბეჭდვა შეუძლია – ტვინის რბილი სტრუქტურებიდან უფრო მყარის, ძვლებისა და ხრტილების ჩათვლით. ტრადიციული ბიოპრინტერები ნელ, ფენობრივ მიდგომას იყენებენ, რომლის დროსაც, შესაძლოა, უჯრედები დაზიანდეს. ავსტრალიელმა სპეციალისტებმა ამ პრობლემის გადაჭრის გზას მიაგნეს. მათ შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, ზუსტად განთავსდეს უჯრედები საბეჭდ სტრუქტურაში. ამასთან, მათი შექმნა სულ რამდენიმე წამში, ასჯერ უფრო სწრაფად შეიძლება, ვიდრე ტრადიციული ბიოპრინტერებით. ახალი ტექნოლოგია შეიძლება გამოიყენონ ორგანოებისა და ქსოვილების რეპლიკაციისთვის, დაავადებების განვითარების პროგნოზირება და ახალი პრეპარატების შექმნა რომ შეძლონ, ცხოველებზე გამოცდის გარეშე.

ყველაზე უჩვეულო სასამართლო პროცესები

ადამიანის არსებობის ისტორიის მანძილზე, ყველა დროში მიიჩნეოდა, რომ სასამართლოში იმის გამო მიდიან, სამართლიანობას მიაღწიონ. თუმცა, ბოლო დროს, თემიდას საკმაოდ სასაცილო და ზოგჯერ უსაფუძვლო სარჩელებითაც მიმართავენ. მაგალითად, მოპარული ზღვის ტალღის, ანდა უიღბლო სუიციდის გამო. მეტიც, ზოგჯერ სარჩელი უფლის წინააღმდეგაც შეაქვთ. ყველა ასეთ ადამიანს მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს – ფული არაფრისგან იშოვოს. აი, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა: ერთმა მოხუცმა ქალბატონმა სასამართლოში უჩივლა მიკროტალღური ღუმელების მწარმოებელ ფირმას იმის გამო, რომ ინსტრუქციაში არ მიუთითეს, იქ კატის შეწვა რომ არ შეიძლებოდა. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ, სასამართლომ კომპანიას მოხუცისთვის დიდი თანხის გადახდა და ღუმელის ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილების შეტანაც დაავალდებულა.

ამერიკელმა ლუდის მოყვარულმა მამაკაცმა, რიჩარდ ოვერტონმა სარჩელი შეიტანა კომპანია Anheuser-Busch-ის წინააღმდეგ. ის ლუდის მწარმოებლისგან 10 ათასი დოლარის კომპენსაციას ითხოვდა არასანდო რეკლამის გამო. ოვერტონე ამტკიცებდა, რომ მათი ლუდის განუსაზღვრელი რაოდენობით მიღება არანაირად არ იწვევდა ნახევრადაშიშველი ქალის „გაჩენას“, როგორც რეკლამაში იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, მან მოიგო სასამართლო, მხოლოდ სარჩელის მეორედ შეტანის შემდეგ.

პენსილვანიელი ტერენს დიქსონი, 1998 წელს, შეეცადა, ავტოფარეხის გავლით გამოსულიყო სახლიდან, რომელიც გაქურდა. ავტოსადგომის კარი გატყდა და მან ვერ შეძლო მისი გაღება, ვერც უკან, სახლში შებრუნდა, რადგან მისი კარი გამოსვლისას ჩაიკეტა. ტერენსი ავტოფარეხში რამდენიმე დღით გამოემწყვდია და ძაღლის საკვებით იკვებებოდა. გათავისუფლებულმა სახლის პატრონებს უჩივლა და ისინი მისთვის „ფსიქოლოგიური ტრავმის მიყენებაში“ დაადანაშაულა. გაოცდებით, მაგრამ მძარცველმა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნახევარი მილიონი დოლარის კომპენსაცია მიიღო.

2007 წელს, ნებრასკას შტატის სენატორმა, ერნი ჩემბერსმა სასამართლო გარჩევები დაიწყო... უფლის წინააღმდეგ! ის შემოქმედს იმაში სდებდა ბრალს, რომ ადამიანებს სასტიკად ექცევა, მათ სხვადასხვა დაავადებასა და კატაკლიზმებს უგზავნის. 1974 წელს, მოსამართლე ფრენსის კორნიში საკუთარ თავს ასამართლებდა. ბრალი კი იმაში მდგომარეობდა, რომ სასამართლოს წარმომადგენელმა ის საჯარო ადგილას მთვრალი ნახა. კორნიშმა საკუთარ თავს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 5 დოლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა, თუმცა მერე გააუქმა სასჯელი, წარსულში „ბრალდებულის“ იდეალური ქცევის გამო. 2004 წელს, შრი-ლანკაზე, მამაკაცს იმის გამო ასამართლებდნენ, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, დარბაზში დაამთქნარა. ეს, თურმე, ისე გემრიელად და მოურიდებლად გააკეთა, რომ მოსამართლე წყობიდან გამოიყვანა. სასამართლოს უპატივცემულობის გამო, მამაკაცი ერთი წლით ციხეში ჩასვეს.

ოკლაჰომაში მცხოვრებმა ოჯახმა სასამართლოში კომპანია „ჰაინცს“ უჩივლა, რადგან მათი განცხადებით, კეტჩუპის ქილაში 42 გრამი პროდუქტი რჩება და არ გადმოდის. თემიდის გადაწყვეტილებით, კომპანიას წყვილისთვის 180 ათასი დოლარის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. 2006 წელს, შანხაიში მცხოვრები ახალგაზრდა სასამართლოს წინაშე იმის გამო აღმოჩნდა, რომ ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად საკუთარი სული გაიტანა. მას განუმარტეს, რომ ლოტი აუქციონზე მხოლოდ მისმა მფლობელმა შეიძლება გაიტანოს, ხელახლა მონაწილეობისთვის კი ახალგაზრდას წერილობითი ნებართვა მოსთხოვეს „უზენაესისგან“. ამერიკელი მამაკაცი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ცნობილ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, სასამართლოში სწორედ მის ორეულს უჩივის. მიზეზი კი ის არის, რომ სპორტსმენთან ასეთი მსგავსება მას მხოლოდ ტკივილს აყენებს, ხშირად აედევნებიან ხოლმე და დასცინიან კიდეც.

ყბების საკეტი წონაში დასაკლებად

სწავლულებმა ახალი მოწყობილობა – Dental Slim Diet Control შექმნეს, რომელიც ადამიანს გახდომაში უნდა დაეხმაროს. ეს ერთგვარი პირის საკეტია. მაგნიტების საშუალებით, ის ხელს უშლის ადამიანს, პირი ორ მილიმეტრზე მეტად გააღოს. მოწყობილობა ახალზელანდიელმა მკვლევარებმა შექმნეს, ოტაგოს უნივერსიტეტიდან. მათი მოსაზრებით, მოწყობილობა, რომელიც პირში სტომატოლოგებმა შეიძლება დაამაგრონ, ადამიანს ხელს შეუშლის მყარი საკვების მიღებაში და შედეგად, წონაში დაკლებას განაპირობებს. თუმცა, როგორც ექსპერიმენტში მონაწილეები აცხადებდნენ, მოწყობილობა მეტად მოუხერხებელი და რთულია, რადგან საუბარშიც უშლიდათ ხელს. სიახლემ ბევრი ადამიანის კრიტიკაც დაიმსახურა – მას შუა საუკუნეების წამების იარაღი უწოდეს. მისი ავტორები კი აცხადებენ, რომ ის „ქირურგიული ჩარევების უფრო ეკონომიური და მიმზიდველი ალტერნატივაა“. კვლევამ ყბების მაგნიტური საკეტის ეეფექტურობა დაადასტურა – მონაწილეებმა, ორი კვირის განმავლობაში, სხეულის მასის 5%-მდე დაიკლეს.

მოთმინება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ქალებს უღირთ, რომ მომთმენები იყვნენ, რადგან სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ სუსტი სქესის მოუთმენელი წარმომადგენლები უფრო სწრაფად ბერდებიან. კვლევებში 1200-მდე ჯანმრთელი ჩინელი სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ასარჩევად ორ ვარიანტს სთავაზობდნენ: დაუყოვნებლივ მიეღოთ 100 დოლარი, ან დაეცადათ და უფრო დიდი ჯილდოს მფლობელები გამხდარიყვნენ. სწავლულებმა არჩევანის შემდეგ მოხალისეების ტელომერების სიგრძე გაზომეს, რომელიც ქრომოსომების დაბოლოებაზეა განთავსებული – მათი სიგრძით კი სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვადასხვა დაავადების რისკი დგინდება. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ მოუთმენელ ქალებში ლეიკოციტების ტელომერები უფრო მოკლეა. მამაკაცებში კი ასეთი კავშირი არ გამოვლინდა.

სლოკინს საწრუპით შეაჩერებთ

აშშ-ში სპეციალური საწრუპი შექმნეს, რომელიც სლოკინს შემთხვევათა 92%-ში აჩერებს. ახალი მოწყობილობა სან-ანტონიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა შეიმუშავეს და ის წარმატებითაც გამოსცადეს. საწრუპის მწარმოებელი კომპანია Hicc Away-ია. კვლევებში 249 მოხალისე მონაწილეობდა, მათგან 92%-ს, საწრუპის გამოყენების შემდეგ, სლოკინი შეუჩერდა. სლოკინი დიაფრაგმის უნებლიე შეკუმშვაა. ყოველ შეკუმშვას მოსდევს ხმოვანი იოგების უეცარი დახურვა, რის შედეგადაც ჩნდება სლოკინისთვის დამახასიათებელი ხმა. საწრუპი ორი ხვრელისგან შედგება – დიდი ზედა და პატარა ქვედა. ამის გამო, წრუპვის დროს, ადამიანს ძლიერი ჩასუნთქვა უწევს, რაც დიაფრაგმალურ ნერვებს ასტიმულირებს. ამ ნერვების სხვა პროცესებით დაკავება მათ სლოკინის წარმოქმნაში უშლის ხელს.

მაკარონის ტორტებს აცხობენ

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მდებარე საცხობი – Tot AW, ორიგინალურ ტორტებს სთავაზობს მათ, რომლებსაც ტრადიციული ტკბილეულობა მობეზრდათ. ტიპური ცომის, კრემისა და მარციპანის ნაცვლად, ტორტები სწრაფი მომზადების მაკარონისგან არის გაკეთებული. დამატებითი ინგრედიენტებია ჩაშუშული საქონლის ხორცი, ქათამი, მდნარი ყველი და სხვა. მოსართავად კი წვრილ პომიდორსა და მწვანილეულს იყენებენ. კლიენტებს ტორტის შიგთავსის არჩევა სურვილის მიხედვით შეუძლიათ. სტანდარტული, ორსართულიანი ტორტის დასამზადებლად, დაახლოებით, 17 შეფუთვა მაკარონი იხარჯება. ასეთი „დესერტით“ კი 8-10 ადამიანის დაპურებაა შესაძლებელი. ამ უჩვეულო ტორტებს საცხობი ამზადებს ქორწილების, დაბადების დღეებისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისთვის.

დანიელები ხელოვნურ კუნძულს ააშენებენ

დანიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ხელოვნური კუნძულის პროექტს, რომლის მშენებლობაც 3.3 მილიარდი დოლარი დაჯდება. ცნობილია, რომ სამუშაოები 2035 წელს უნდა დაიწყოს და წინასწარი გათვლებით, 2070 წელს დასრულდეს. ახალი კუნძულის მშენებლობას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს – მათი თქმით, სათანადოდ არ არის შესწავლილი, რა გავლენას მოახდენს ის ეკოლოგიაზე. ხელოვნური კუნძულის ფართობი 3 კვადრატული კილომეტრიც იქნება. მან კოპენჰაგენი წყალდიდობისგან უნდა დაცვას, რომელსაც ზღვის დონის მატება იწვევს. კუნძულზე 35 ათასი ადამიანის დასახლებაც იგეგმება და მათთვის მეტროს ხაზიც გაკეთდება. ხელოვნური კუნძულის იდეა ყოფილ პრემიერს, რასმუსენს ეკუთვნის, რომელმაც პროექტი 2018 წელს წარადგინა.

ადრე გაღვიძება დაავადებებს აგაცილებთ

იტალიელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დილით ადრე ადგომა ამცირებს დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. მათი მოსაზრებით, ვინც გვიან ღამემდე არ იძინებს, დარღვეული აქვთ საჭმლის მონელებისა და იმუნური სისტემის მუშაობის პროცესები. ექსპერიმენტი ნეაპოლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს. შედეგად გაირკვა, რომ „ღამისმთევლებში“ დიაბეტისა და გულის დაავადებების განვითარების რისკი ექვსჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ადრე დაძინებისა და ადრე ადგომის მოყვარულებში. „ტოროლების“ 30% წუხდა გულსისხლძარღვთა დაავადებებზე, „ბუებში“ კი ეს მაჩვენებელი 55%-ს აღწევდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.